ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 21 (1394) | 18-25 ოქტომბერი, 1994 წ.

ვინ დგას ხალხისათვის ამ «გამაბედნიერებელი» დადგენილების უკან?

ხშირად გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალი სამთავრობო გადაწყვეტილების უკან, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკას, კონკრეტული, დაინტერესებული პირები დგანან. მით უფრო საგანგაშოა ის გარემოება, რომ ასეთი გადაწვეტილებების არც თუ უანგარო მხარდამჭერად მთავრობაში მოკალათებული ადამიანებიც გვევლინებიან. არა და რითი უნდა აიხსნას ის უპრეცედენტო, ეკონომიკური თვალსაზრისით აბსურდული მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა ბატონ ო.ფაცაციას ხელმოწერით და ყოველდღიურად გადაიცემა შესახსენებლად ტელევიზიით, რომლის თანახმად საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილი ნებისმიერი ტვირთი სავალდებულო, იძულებითი წესით უნდა იქნას დაზღვეული მხოლოდ და მხოლოდ კერძო სადაზღვევო კომპანია „ალდაგში". თურმე საქონლის ნებისმიერმა შემომტანმა ფული ჯერ „ალდაგს" უნდა გადაუხადოს (თუ არ გადაუხდის, თურმე საბაჟო საკადრისად დასჯის), შემდეგ კი ეს უკანასკნელი რაღაც ნაწილს გადაუხდის სახელმწიფოს.

მინდა შევახსენოთ მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრს, რომ კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კრძალავს იმპორტის იძულებით დაზღვევას. ტვირთის დაზღვევა რომ ნებაყოფლობითი ქმედებაა, სხვამ თუ არა, რიგითმა ბიზნესმენმა მაინც იცის. მეწარმეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს შემოსატანი ტვირთი საზღვარგარეთისა და საქართველოს ნებისმიერ კომპანიაში. მით უფრო გასაკვირია მთავრობის მიერ მონოპოლისტური უფლების მინიჭება ორკაციანი ფირმისათვის, როცა ქვეყანაში არსებობს უზარმაზარი, მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე საქართველოს სახელმწიფო სადაზღვევო ჯომპანია.

ნუთუ ძნელი მისახვედრია მინისტრთა კაბინეტის წევრებისათვის, რომ იმპორტიორი მხოლოდ მაშინ აზღვევს ტვირთს, როცა არის რისკი, ხოლო სავალდებულო წესით იმპორტიორისათვის არჩევანის უფლების წართმევა და იძულებითი დაზღვევა ეწინააღმდეგება კონკურენციის ელემენტარულ მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის კანონს ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ. სხვას რომ თავი დავანებოთ, დამატებითი ხარჯების გაწევა ხომ ზრდის შემოსატანი საქონლის ფასს, რომელიც საბოლოო ჯამში ისევ ჩვენი გაუბედურებული მოსახლეობის ჯიბიდან იფარება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარლამენტი რეაგირებას მოახდენს ამ (და არა მარტო ამ) კანონსაწინააღმდეგო დადგენილებაზე და დროულად გააუქმებს მას.

P.S. ერთიც მინდა დავსძინო, ტვირთი საქართველოს გზებზეა დასაზღვევი, თორემ ამერიკიდან ბათუმამდე და ფოთამდე რა დაზღვევა სჭირდება? „ბერმუდის სამკუთხედში" თუ არ მოხვდა, მეკობრეები ზღვაში აღარ არიან, ადგილობრივ „მეკობრეებთან" კი... თუმცა ამაზე მეტ მეკობრეობას ვინ შეძლებს?..

ტრისტან ბერიანიძე

გაფრთხილებთ! გთხოვთ! ნუ დაუჯერებთ! ნუ ენდობით! ნუ წამოეგებით!..

დიდი ხნის განშორების შემდეგ, გასულ კვირას ყოფილი ვიცე-პრემიერი და ა. წ. გაკოტრებული საინვენსტიციო კორპორაციის „სასკოს" დამფუძნებელი ბატონი ამირან ქადაგიშვილი შეხვდა თავის მეანაბრეებს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც (წინა დღით) აღელვებულმა და გაცურებულმა მოქალაქეებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „სასკოს" ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ყოფილ ვიცე-პრემიერის მეუღლეს და იქ დამსწრე ერთ-ერთ ჟურნალისტს.

აქციონერთა შეკრებაზე დამაიმედებელი ვერაფერი ითქვა, თუმცა გამოსავალთა ძიებაში უკიდურესობამდე მიდიოდნენ დოლარებდაკარგული მოქალაქენი — „სასკოს" ხელმძღვანელთა ლინჩის წესით გასამართლებით დაწყებული, მათი პირადი ქონების გაყიდვამდე.

გაისმოდა შეძახილები: ჩამოვახრჩოთ, კუპრში ამოვავლოთ, სარზე ჩამოვაცვათ. ამ ტრაგი-კომიკური სიუჟეტის მონაწილენი ორივე მხრიდან თანაგრძნობის ღირსნი არიან, რადგან მეანაბრეთაგან ბევრმა საარსებო საშუალება დაჰკარგა, ხოლო „სასკოს" ხელმძღვანელები, ყოველდღიურად შეურაცყოფილნი, მუქარის ქვეშ იმყოფებიან. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ჯერჯერობით მოტყუებას გადარჩენილ მოქალაქეებს მოკრძალებით შევახსენოთ: შეუძლებელია მსოფლიოში არსებობდეს ისეთი ფირმა ან ბანკი, მორგანის იქნება ეს, როკფელერის თუ ქიბროწაშვილის, რომელსაც შეუძლია ისე იმუშაოს, რომ გასცეს დივიდენდი ორიოდ პროცენტზე მეტი თვეში.

მორგანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ვიცით დანამდვილებით, რომ მსოფლიოში ერთერთი უდიდესი ამერიკული „სიტი ბანკი" წლიურად 7 პროცენტს იძლევა მხოლოდ, ანუ თვეში, თვეში თქვენ იანგარიშეთ...

ძვირფასო თანამემამულენო, მეგობრებო, გაფრთხილებთ და გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ, ნუ ენდობით, ნუ წამოეგებით რეკლამის ანკესს, ნებისმიერი ფირმა იქნება ეს, ბანკი თუ სხვა სახით დაწესებულება, ვინც მაღალ დივიდენდებს გთავაზობთ, ან წინასწარ გამიზნულად თაღლითობს, ან უცოდინარობით მოსდით ეს. ხოლო შედეგი ერთსა და მეორე შემთხვევაშიც თქვენი დაზარალებაა, რითაც იმავდროულად ჩვენი ქვეყანაც ზარალდება.

ერთი სიყალბის ტექნოლოგია
მეორე გვერდზე

ეროვნული თავისუფლებისა და პიროვნული თავისუფლების ურთიერთმიმართება
მესამე გვერდზე

წერილი უნამუსოზე და წერილი უნამუსოსადმი
მეოთხე - მეხუთე გვერდზე

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე
მეშვიდე გვერდზე

ახალი რუბრიკის დაბადება
მეექვსე გვერდზე

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს
ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში (№20) წავიკითხე თქვენი წერილი — „აცია ადამიანი?!“ რომელშიც ამხელთ იმ სიყალბეთა სერიას, რაც ბატონ ნ.ნათაძის მიმართ იქნა ჩადენილი მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მიერ. მე პროფესიით იურისტი გახლავართ და აღნიშნულ საკითხზე მომეპოვება დამატებითი ინფორმაციები, რითაც ვფიქრობ, სრულად ჩამოეხდება ფარდა იმ გახმაურებულ საქმეს, რომელზეც მწარე პასკვილები აქვეყნა „ლიტერატურულმა საქართველომ“.

პატივისცემით ლევან ალაფიშვილი

ერთი სიყალბის ტექნოლოგია

საკითხზე, რომელსაც შეეხები ჩემს პუბლიკაციაში, ბევრი დაწერილა და თქმულა სხვადასხვა სიმაღლის ტრიბუნიდან, თუმცა ავტორები ნაკლებად იცნობდნენ ამ საქმესთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტაციას. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ შეეხება გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ნ.გრიგალაშვილის წერილს „აცია ადამიანი?!“, რომელშიც ნაწილობრივ წარმოდგენილია საქმესთან დაკავშირებული ზოგიერთი დოკუმენტი.

დიახ! თქვენ სწორედ მიმიხვდით, საუბარია „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდისთვის“ კრედიტის გამოყოფაზე და იმაზე, თუ რა კავშირშია მასთან პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ ნათაძე.



დოკუმენტი №1

მე სწორედ იმის დასამტკიცებლად, რომ ნ.ნათაძე არავითარ კავშირში არ არის ამ ფონდისთვის კრედიტის გამოყოფის საქმესთან, წარმოგიდგენთ იმ ოფიციალური დოკუმენტაციის ფოტოასლებს — მცირე, განმარტებითი კომენტარებითურთ, რომელთა ნახვის და სრულად გაცნობის საშუალებაც მომეცა ერთერთ პარლამენტის დეპუტატთან ერთად, მინისტრთა კაბინეტსა და ეროვნულ ბანკში.

მივყვეთ ქრონოლოგიურად.

1. 1993 წლის 6 სექტემბერს ბატონი ნ.ნათაძე მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ბატონ ო.ფაცაციას წინაშე შუამდგომლობს „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდს“, რათა გამოეყოთ კრედიტი თავდაცვისათვის შესაბამისი ნივთების შესაძენად. მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში იგი რეგისტრირებულია 8 სექტემბერს №627/2. (იხ. დოკუმენტი №1). აღვნიშნავთ, რომ ამ დოკუმენტის დედანი ინახება მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში (ბლანკს თავზე აქვს ლურჯი ფერის სახელმწიფო გერბი).

2. აღნიშნული საკითხის განხილვას ბატონი ო.ფაცაცია ავალებს ვიცე-პრემიერ რომან გოცირიძეს 8 სექტემბერსვე. (იხ. დოკუმენტი №2).

3. 1993 წლის 9 სექტემბერს ბატონი რ.გოცირიძე უარს ამბობს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (იხ.დოკუმენტი №3), ხოლო 15 სექტემბერს უარს წერილობით უგზავნის პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ნ.ნათაძეს. ეს დოკუმენტი პარლამენტის კანცელარიაში შემოსულია 21 სექტემბერს №458/2 (იხ. დოკუმენტი №4) (ამ დღეს ბატონი ნოდარ ნათაძე უკვე სოხუმშია. კრედიტთან დაკავშირებით კი მისთვის ცნობილია სიტყვიერი გადმოცემით, რომ რ.გოცირიძემ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა).

სიყალბეთა მთელი სერია სწორედ ამ დღიდან (21 სექტემბრიდან) იწყება.



დოკუმენტი №2

4. უცნობია ვისი (თუმცა ნათელია, რომ მაღალი თანამდებობის პირის) მეცადინეობით ბატონ ნოდარ ნათაძის 6 სექტემბრის უარნათქვამ შუამდგომლობას აქსეროქსებენ მინისტრთა კაბინეტის სარეგისტრაციო შტამპზე სუფთა ქაღალდის დაფაფეებით და შემდგომ მასზე ასვამენ ახალ შტამპს 21 სექტემბრის თარიღით №655/2. (იხ. დოკუმენტი №5).

მკითხველს შეუძლია შეადაროს №1 და №5 დოკუმენტები. ისინი აბსოლუტურად იდენტურია 3 განსხვავების გარდა: ა) №5 დოკუმენტის ბლანკს, რომელიც ინახება მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში, თავზე არ აქვს ლურჯი ფერის სახელმწიფო გერბი (ე.ი. იგი გაქსეროქსებულია). ბ) №1 დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერია 627/2, ხოლო №5-ისა 655/28 გ) №5 დოკუმენტზე უკვე გაჩნდა ამ დროს უკვე ახალი ვიცე-პრემიერის ა.ქადაგიშვილის რეზოლუცია და ნ.ლეკიშვილის ხელმოწერა.

საგანგებოდ შევჩერდები სწორედ ხელმოწერების საკითხზე. ბატონების ა.ქადაგიშვილის და ნ.ლეკიშვილის ხელმოწერები მელნითაა შესრულებული (დედანია) ე.ი. ისინი ხელს აწერენ არა ოფიციალურ (ლურჯ გერბიან) დოკუმენტს, არამედ გაქსეროქსებულს. ამ №5 დოკუმენტის დედანი ინახება მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში. აღნიშნული (№5) დოკუმენტის ასლი იგზავნება ეროვნულ ბანკში (იგი გაქსეროქსებულია) მინისტრთა კაბინეტის დადგენილებასთან ერთად. პარადოქსია, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი ეროვნულ ბანკში სხვა სახით ვიხილეთ, მასზე უკვე რეზოლუცია აქვს დადებული ბატონ ა.აქიტიშვილსაც (ხელმოწერა მელნითაა შესრულებული). (იხ.დოკუმენტი №6). მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში დაცულ №5 დოკუმენტს არა აქვს ა.აქიტიშვილის რეზოლუცია, ე.ი. გამოდის, რომ ბატონ ა.აქიტიშვილსაც რეზოლუცია დადებული აქვს ორჯერ გაქსეროქსებულ ქაღალდზე, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ დოკუმენტად, რადგან არც მის ბლანკს აქვს თავზე ლურჯი ფერის გერბი. როგორც მოგახსენეთ, №6 დოკუმენტი ვიხილეთ ეროვნულ ბანკში.



დოკუმენტი №3

5. რაც შეეხება აღნიშნული



დოკუმენტი №4

შუამდგომლობის შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას (იხ. დოკუმენტი №7), მისი დედანი, (ლურჯი ფერის გერბით) ინახება ეროვნულ ბანკში, რომელშიც იგი რეგისტრირებულია 21 სექტემბერს №67. ამ დადგენილების ბლანკს არ აქვს დასმული მინისტრთა კაბინეტის დადგენილების ნომერი, არ არის დათარიღებული, აწერია მხოლოდ 1993 წლის —“ სექტემბერი.

რაც შეეხება ბატონი ო.ფაცაციას ხელმოწერას, იგი დედანია, მისივე ხელითაა შესწორებული ციფრები „20“ და ფრჩხილებში სიტყვა „ოცი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის აპარატის მაღალი თანამდებობის პირებმა განგვიმარტეს, რომ: ა) მათგან ე.ი. მინისტრთა კაბინეტის აპარატიდან დადგენილების დედანი (ლურჯი ფერის გერბით) არ გადაიგზავნებოდა ეროვნულ ბანკში, იგი დარჩებოდა მინისტრთა კაბინეტის აპარატში. ბ) დოკუმენტს ექნებოდა საიდუმლო სექტორის რედაქტორის და აპარატის უფროსის ან მოადგილის ვიზა (რადგან მასში ლაპარაკია თავდაცვისთვის საჭირო ნივთებზე). გ) მინისტრთა კაბინეტის ბლანკები (ლურჯი ფერის გერბით) ინახება მინისტრთა კაბინეტის საერთო განყოფილების საოქმო სექტორში. საოქმო სექტორში ხდება დადგენილების ტექსტის მომზადება, შემდეგ მიდის მინისტრთა კაბინეტის აპარატში და ეძლევა ნომერი (რეგისტრირდება), მას კი აპარატის ხელმძღვანელის ან მოადგილის ხელმოწერის გარეშე საოქმო სექტორი არ მისცემდა ნომერს.

დასასრული მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო რედაქტორო!

გავეცანი გაზეთ „საქართველოში“ (№20, 1994) გამოქვეყნებულ თქვენს ვრცელ წერილს „კაცია ადამიანი?!“, სადაც მთლიანადაა გაშიშვლებული და მხილებული დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ალექსი კობაიძის ხელმოწერილი „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის“ საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო დროებითი კომისიის დასკვნის“ აბსურდულობა.

თქვენი წერილიდან დროებითი კომისიის თავმჯდომარის მხოლოდ ტენდენციურობა, არაკომპეტენტურობა თუ უპასუხისმგებლობა რომ იკითხებოდეს, რაღა გვიჭირდა. აქ ხომ სახეზეა, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმწიფოს დონეზე“ აყვანილი „წარმოუდგენელი ყალთაბანდობა“, რასაც, სამწუხაროდ ღრმად აქვს ფესვები გადგმული და რამაც, თუ გადამწყვეტი არა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმაში, რომ ქვეყნის ფეხზე წამოდგომას საშველი არ დაადგა. მეტიც — ეს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ერთდაგვარი გამყოფ ავნებაცაა. ამ პოლიტიკური კურსის ერთი მთავარი ამოცანა კი ეროვნული მოძრაობის და მისი აღიარებული წარმომადგენლების ყოველმხრივი დისკრედიტაციაა, რათა საბოლოოდ მათ და მხოლოდ მათ დაბრალდეთ ქვეყნად გამეფებული უწესრიგობა, განუკითხაობა და სხვ.

გავიხსენოთ ისიც, რომ პარლამენტარი ა.კობაიძე პარლამენტის უმრავლესობის სწორედ ის წარმომადგენელია, ვინც პარლამენტის სესიის სხომებზე აგრესიულობითა და უადგილო გამოხდომებით გამოირჩევა. ამის მიუხედავად, ბ-ნ ნ.ნათაძის საქმესთან დაკავშირებული ერთობ მნიშვნელოვანი საკითხის შემსწავლელ კომისიას სათავეში ჩაუყენეს არა რომელიმე უფრო გამოცდილი პარლამენტარი ან ავტორიტეტიანი იურისტი, არამედ ... ყოფილი მილიციონერი — ა.კობაიძე. დაკვეთებს კი — მოგეხსენებათ ა.კობაიძისნაირი ხალხის „რჩეულები“ პირნათლად ასრულებენ.

წერილში, დამაჯერებლად ჩანს ბ-ნი ნ.ნათაძის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის მიზანდასახულობა და ამ საქმეში პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის გამორჩეული როლი. ალბათ მსგავსი მისიების აღსრულება ბ-ნი ვიცესპიკერის საქმიანობაში მაშინ ჩაიდო, როცა 1992 წლის 11 ოქტომბრის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში, რამდენიმე უბანში განმეორებით ჩატარებულ არჩევნების წყალობით გაიმარჯვა და ახლადარჩეული პარლამენტის ვიცესპიკერადაც აირჩიეს. გავიხსენოთ, რომ მაშინ საარჩევნო კომისიაში ოთხ საარჩევნო ოლქზე იყო პროტესტი შეტანილი და პროტესტი დაკმაყოფილებული იქნა მხოლოდ იმ ერთზე, სადაც კენჭს იყრიდა და თავდაპირველად დამარცხდა ბ-ნი ვ.რჩეულიშვილი.

დიდად დამაფიქრებელი დასავალალია ის, რომ სხვა ფაქტებთან ერთად (მაგალითად, ზოგიერთი პარტიისა თუ ფრაქციის, პარლამენტარის წამდაუწუმ პოზიციების ცვლა...), ეროვნული მოძრაობისა (არც თუ იშვიათად ხელისუფლების მხრიდან „ე.წ.“ ად მონათლულის) და მისი წარმომადგენლების დისკრედიტაცია და სხვა მისთანანი მავანთ დიდ პოლიტიკად ესახებათ. ამ „დიდი პოლიტიკის“ შედეგებს ყოველდღიურად ვიმკით, ჭეუას კი ვერა და ვერ ვსწავლობთ.

და ბოლოს, ერთ რამეში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით ბ-ნო რედაქტორო. შესაძლოა ირონიით, მაგრამ თქვენი წერილის დასასრულს პარლამენტარი ა.კობაიძე მოხსენიებულია კაცად, რომელსაც „ცუდი გული არა აქვს“ და მისივე აღიარებით ბ-ნი ნ.ნათაძე არც „უპატიოსნო კაცად“ მიაჩნია და არც „სიძულვილი აქვს მისდამი“. გულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აქ პარლამენტარი ა.კობაიძე, ბ-ნი ნ.ნათაძის შეფასებისას, ისევე „გულწრფელია“, როგორც დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაზე ხელის მოწერისას. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ა.კობაიძისნაირებს ნ.ნათაძისნაირებისადმი სიძულვილი (რბილადაა ნათქვამი!) რომ არ ჰქონდეთ, უბრალოდ შეუძლებელია!

პატივისცემით
მიხეილ მახარაძე

იდეოლოგიისა და სტრატეგიის სათავეებთან

ნოდარ ნათაძე

(წაკითხულია მოხსენებად ყოველთა ქართველთა ფორუმზე 10 ოქტომბერს, 1994)

მკითხველს ახსოვს, რომ ამ სათაურით გაზეთმა „საქართველომ“ შემოიღო ახალი რუბრიკა, რომლითაც ქვეყნდება განხოგადებული წერილები ჩვენი ეროვნული პრინციპების, ჩვენი ეროვნული თვითცნობიერებისა და მსოფლიო პოლიტიკაში ჩვენი ადგილის შესახებ. უკვე დაიბეჭდა ნ.ნათაძის წერილი „ისტორიის მასხარები“, რომელშიც გაანალიზებული იყო დღევანდელი სახელმწიფო „იდეოლოგიის“ ძირითადი თეზისი — ქართველები უვარგისნი ვართ და ამიტომ თავი რუსეთის ფრთის ქვეშ უნდა შეეყოთო. წინამდებარე ნომერში ვათავსებთ მისსავე წერილს: „ქართველი ერის მიზნები“.

ქართველი ერის მიზნები

ქართველ ერს, ისევე როგორც სხვას, აქვს თავისი მეტნაკლებად ჩამოყალიბებული შეხედულებები თავის რაობაზე, თავის სადღეისო და ისტორიულ მიზნებზე, თავის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე. ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად ამ შეხედულებებში ბევრია საერთო და ერის მიერ გაზიარებული. ამ მეტნაკლებად ერთობლივ შეხედულებათა სისტემას შეგვიძლია კუწოდოთ ერის დღევანდელი მენტალიტეტი, ერის იდეოლოგია, ეროვნული თვითშემეცნების დღევანდელი ფორმა ან სხვა რამ სახელი. წინამდებარე ტექსტში არის ამ ერთობლივი შეხედულებების და განწყობების სიტყვიერი ჩამოყალიბების ცდა.

I ქართველი ერის დამოკიდებულება დანარჩენ კაცობრიობასთან

ქართველი ერის და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის ინტერესებს, არამედ თანხვდება მათ. ქართველი ერი დაინტერესებულია კაცობრიობის ერთობლივ წინსვლაში, მშვიდობაში და კეთილდღეობაში, რადგან მიაჩნია, რომ კაცობრიობის საერთო წინსვლა ხელს უწყობს საქართველოს წინსვლას. თავისი წინსვლისა და კეთილდღეობისათვის საქართველო არ საჭიროებს რაიმე უპირატესობის მოპოვებას რომელიმე სხვა ქვეყნის ხარჯზე.

ქართველ ერს უნდა, რომ მისი ქვეყანა იყოს ერთ-ერთი სრულუფლებიანი და ყველა სხვათა პრინციპულად თანასწორი ქვეყანა, ჩვენი პლანეტის დანარჩენ ქვეყნებთან ჰარმონიული და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით რეგულირებული ურთიერთობის მქონე. ამავე დროს საქართველოს არ უნდა, რომ ქვეყნების და ერების ზემოხსენებული პრინციპული თანასწორობის ჩარჩოში იგი იყოს უკანასკნელი ან უკანასკნელთაგანი თავისი კონკრეტული ეკონომიკური, კულტურული და სათავდაცვო მდგომარეობის მხრივ, არამედ უნდა, რომ იყოს ერთ-ერთი მოწინავეთაგანი ან ყველაზე მოწინავე მათ შორის. ქართველ ერს აქვს ამ მიზნის მიღწევის იმედი და განხრახვა, რადგან მიაჩნია,რომ ამისათვის შესაფერისი ბუნებრივი მონაცემები აქვს, რომელთა მაღალხარისხოვნებასაც ამტკიცებს მისი მიღწევები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

თავისი მიზნების მიღწევას ქართველი ერი ფიქრობს სამართლიანი გზით, ანუ სხვათა დაუზაგრავად, პატიოსანი შრომით და, საჭიროების შემთხვევაში, პატიოსანი ბრძოლით. ქართველი ერის წარმომდგენები პატიოსნებაზე, ღირსებაზე და სამართლიანობაზე ძირითადად იგივეა, რაც სხვა ცივილიზებულ საზოგადოებებში დღეს მიღებული და აღიარებული წარმოდგენები, რომლებიც დასავლური ცივილიზაციიდან მოდის და საქართველოსთვის ორგანულია, რადგან საქართველი ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა.

II საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნები

ძირითად ეროვნულ—სახელმწიფოებრივ მიზნებად, რომელთა მიღწევისთვისაც ერის შვილთა თავგანწირული ბრძოლა გამართლებულია და რომელთა განხორციელებისათვის შრომაც მათს მოვალეობას შეადგენს, ქართველ ერს მიაჩნია:

1. საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნება და შთამომავლობისთვის დატოვება სამარადისოდ;

2. თავისუფლების, ანუ ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი დაცვა სამარადისოდ;

3. საკუთარი ეროვნული ვინაობის, ანუ ქართველობის შენარჩუნება სამარადისოდ;

4. საკუთარი ტრადიციების, რწმენა-შეხედულებების, უნარ-მიდრეკილებების და სხვა ბუნებრივ მონაპოვართა გამოყენებით და მათზე დაყრდნობით ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც სრულად იქნება განხორციელებული სამართლიანობა, ადამიანის პიროვნული თავისუფლება, მოქალაქეთა სოციალური დაცულობა, ყველა ის ჰუმანისტური განწრახულობა და ყველა ის ფასეულობა, რომელსაც კაცობრიობის განვითარების მოცემული ეტაპი შესაძლებელ ხდის ან გახდის.

5. საყოველთაო კეთილდღეობა და საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმდიდრე.

6. მსოფლიოში მოწინავეობა, პრესტიჟი და სახელი ადამიანთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოქმედების ყველა დარგში.

ამ მიზანთა განხორციელებით ქართველი ერი იმკვიდრებს საკუთარ ღირსეულ ადგილს კაცობრიობის ერთიან სისტემაში.

ქართველ ერს არა აქვს ამბიცია, იყოს მსოფლიო-ისტორიული ერი იმ აზრით, — რომ შეეწნას, თავის თავში განასახიეროს და მსოფლიოს თავს მოახვიოს რაიმე ახლებური სოციალური-პოლიტიკური ან სახელმწიფოებრივი წყობა და ამით კაცობრიობის ისტორიის ერთი ორიგინალური ეტაპი შეადგინოს. მისი ამბიცია, საუკეთესო ან საუკეთესოთაგანი იყოს სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოების შექმნაში, კულ-

გაგრძელება მე - 7 გვ

ინტერვიუ

ფრიდონ ინჯია: დასავლეთთან კავშირისათვის მოსკოვი აღარ დაგვჭირდება, აკრიფეთ...

კომუნისტების დროში, (ეჰ, მაინც წარსულის მიმართ წამომცდა ეს ფრაზა. ახლაც ხომ კომუნისტები განაგებენ ქვეყანას?!) თურმე კავშირგაბმულობის სამინისტროს მორიგ მინისტრს ხსნდნენ კავშირგაბმულობაში ხარვეზების არსებობისათვის. ერთ ჩვენს ცნობილ ხელოვანს ამ ფაქტთან დაკავშირებით უხუმრია — მინისტრის გამოცვლას კაბელები გამოგეცვალათ და კავშირი აღსდგებოდაო...

და მაინც, იმ დროს კაბელები იყო და მათ არც არავინ იპარავდა. ახლა ქვეყანა გაძარცვულია განსაკუთრებით კაბელიანი მომრავლდნენ. სამინისტროამ მხრივ დამატებითი პრობლემების წინაშე დგას.

მინისტრთან შესვლა არ გამჭირვებია. არ დავმალავ, მივდიოდი იმ განწყობით, რომ კრიტიკით გული მომეფხანა. მაგრამ მინისტრის უბრალოებამ და თავისი საქმისადმი სიყვარულმა მის მხარეს გადამიყანა...

კავშირგაბმულობის სისტემაში ახლო მომავალში სიახლეებს უნდა ველოდოთ. მახსენდება ნოდარ დუმბაძის ამერიკაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც იგი ალნშნავს, ოკეანის გაღმიდან მოსკოვთან რამდენიმე წამში დამაკავშირეს, მოსკოვიდან თბილისამდე კი როდის მომცემდნენ ხაზს, ეს უკვე ამერიკელებმა აღარ იცოდნენ. სხვათაშორის არც არავინ იცოდა მთელს დუნიაზეო...

დღეს დასავლეთთან კავშირისთვის მოსკოვი აღარ დაგვჭირდება, განა ეს ცოტაა?..

ბატონო ფრიდონ, არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენმა საზოგადოებამ ფრიად სასიხარულო ინფორმაცია მიიღო იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ექნებათ პირდაპირ დაუკავშირდნენ სატელეფონო ხაზით ევროპის ნებისმიერ ქვეყანას, რა დაუდგება ეს სიახლენება და საერთოდ რას გვეტყვით ამის თაობაზე?

დიახ, ეს მართლაც ასეა, ჩვენ დავაყენეთ საერთაშორისო სატელეფონო სადგური, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოსკოვის გარეშე, პირდაპირ შევიდეთ მსოფლოს ნებისმიერი ქვეყნის სატელეფონო ქსელში. ეს არის F2 სისტემის მიწის ზედა კოსმოსური სადგური. ვისაც ამის სურვილი აქვს, ყველას შეგვიძლია მოვმსახუროთ. ყოველივე კი ასე ხდება: თქვენი ტელეფონის პროგრამა იცვლება. გერეკთ 8-ს, მერე 14-ს, შემდეგ იმ ქვეყნის კოდს, სადაც ურეკავთ. ყველაფერი ხდება ყოველგვარი ოპერატორის გარეშე. ყოველ წუთის გადასახადი 2 დოლარი.

ნოემბრიდან კი მწყობრში ჩადგება ასევე სიმენსის საკომუტაციო სადგურ. აქ იქნება დრიის დიფერენციაცია. მაგ. ღამე, სალაპარაკო ღირებულების გადასახადი, 1 წუთი შეადგენს 70 ცენტს, დღე 3 დოლარს. სამუშაო დღეებში, გადასახადი იქნება ძვირი, შაბათ-კვირას იაფი. ასევე არის დღეს ევროპაში. გერმანიიდან ამერიკაში სატელეფონო საუბრის ღირებულება 1 წთ. დღისით 4-5 დოლარს შეადგენს, ღამით 2 დოლარს. სსრკ-ის დროს ჩვენ მიწისზედა სიმენსის უფლებაც არ გვქონდა, აუცილებელი იყო მოსკოვის საერთაშორისო სადგურთან დაკავშირება. ყოველივე ეს დღეისათვის დიდი ნაბიჯია.

არსებობს თუ არა ტექნიკური საშუალება, რომ ყველა მოქალაქე, ვისაც სურვილი აქვს, დაკმაყოფილოთ ტელეფონით და რა ღირს ტელეფონის დაგმა?

საბედნიეროდ გამოიძებნა ინვესტორი, რომელიც 400 ნომერს დაფინანსებს და დამატებს. ეს ამოსუნთქვის საშუალებას იძლევა. ელექტრონული სატელეფონო სადგურის დაყენება 75 ათას დოლარს აღემატება. ერთი ტელეფონის ნომერი სატელეფონო სადგურში 180—200 დოლარი ღირს. შემაერთებელი ხაზი კიდევ დაახლოებით იგივეა, მთლიანად 480 დოლარამდე ჯდება. გააჩნია აგრეთვე რომელი ფირმა იქნება.

იმის იმედი, რომ მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფს ფულს, და დააყენებს ტელეფონს, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. ვინც უნდა დაფინანსდეს და ვინც სახელმწიფოებრიობას ქმნის, იმასაც ვერ აფინანსებს. ელემენტარულად კუპონის დასაბეჭდი ფული უჭირს.

არის აგრეთვე სამსახური, „ქალაქის ქსელი“. მთავრობის ნებართვით თვითღირებულების ფასებში ახალი ელექტრონული სადგურიდან ხდება ტელეფონის დადგმა. ურიგოდ დადგმისათვის უნდა გადაიხადოთ დახლოებით 300 დოლარი. ეს არაოფიციალურად არ ხდება. „ქალაქის ქსელი“ არის დამოუკიდებელი იურიდიული სამსახური, რომელიც მოქმედებს იმ კანონების საფუძველზე, რომელიც დღეს არის საქართველოში.

რა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი კავშირგაბმულობა, რა სიახლეებს უნდა ელოდეს მოსახლეობა მომსახურეობის თვალსაზრისით?

ძირითადი პრობლემა არის კაბელის დატაცება, რასაც არავითარი გამართლება არა აქვს. ის თავისუფლად გადის საზღვარგარეთ. კაბელს ვერ ვუწამოებთ და ვერც შემოგვაქვს მოსკოვიდან, რომ შემოიტანო ჯდება იმდენივე, რაც ღირს. მატარებელით შეუძლებელია შემოტანა. უნდა ვისარგებლოთ ზღვით ან თვითმფრინავით. ამას უნდა თანხები, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია.

ის 200—300 ათასი კუპონი, რომელიც მომსახურეობის გადასახადია, არ გვაძლევს ელემენტარულად არსებობის საშუალებას. ასევე არის მთელი სექტორი მოსახლეობის, რომელსაც გარკვეული შეღავათები გააჩნია. დღევანდელი ჩვენი მძიმე პირობებისათვის ეს ყოველად გაუმართლებელია. ყველაფერს უნდა მიეცეს თავისი ღირებულება.ძნელია ამის თქმა, მაგრამ უკვე რეალობა, რომ ტელეფონი ფუფუნების საგანი გახდა. ტელეფონით მომსახურეობის გადასახადი რამდენჯერ გაიზრდება, რომლის გადახდას ყველა ვერ შესძლებს. ასე რომ, ტელეფონი ექნება იმას, ვისაც გადახდის საშუალება ექნება.

ჩვენი მხრივ დახიანებებს არ ექნება, პრაქტიკულად, და არა აქვს ადგილი, თუ არ გადაჭრეს კაბელი. დღეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის სატელეფონო მომსახურეობის გადასახადი ისე უმნიშვნელო, როგორც ჩვენთან. უკვე აუცილებელია, რომ ყველაფერს მიეცეს თავისი ღირებულება.

რადგან ელექტროენერგიის გამორთვასთან ერთად სატელეფონო სადგურიც ითიშება, შესაძლებელია თუ არა, რომ სატელეფონო სადგურისათვის შეიქმნას საკუთარი ენერგოწყარო?

თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ ქარის გენერატორები დავაყენოთ, აქ, თბილისში ვერ დაყენდება. აქ შეიძლება იყოს გამოყენებული განმხოლოებული კვება. ამის გაკეთებაც კი ყველგან ვერ ხერხდება. რაც შეეხება დამოუკიდებელ წყაროს, მზის ბატარეას ვიყენებთ რაიონებთან შეერთებისას. აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიზელ გენერატორები. მაგრამ ეს 20-ჯერ ძვირი ჯდება ტელეფონის ღირებულებასთან. ზოგ რაიონებში სამმართველოების უფროსებს უფლება მივეცით, სატელეფონო სადგურები დიზელის საწვავზე ამუშაონ და მომსახურეობის ისეთი ფასი დაწესონ, რაც ჯდება. თანხმობა ამაზე არცერთმა რაიონმა არ გამოთქვა, რადგან ძვირია. ერთი საათი 18 ათასი მანეთი ჯდება.

ბ-ნო ფრიდონ, რას გეტყვით უახლოესი პერიოდის სიახლეების შესახებ?

ჩვენი დახმარებით გაიშვა ეგრეთწოდებული „ბეიჯინგები“, რომელიც მალე თქვენს სამსახურში იქნება. ნოემბრის დასაწყისში კი, დუშეთში გაიშვება ახალი რადიოსადგური. ეს არის 500 კილოვატიანი სიმძლავრის. ამ რადიოსადგურის ხმა მთელ საქართველოს გადასწვდება. სიმძლავრის მიხედვით ეს პირველი რადიოსადგურია საქართველოში. ნოემბრის ბოლოს კი ამოქმედდება სატელეფონო ქსელი: ბათუმიდან — ბათუმი, ქობულეთი — ფოთი, ლანჩხუთი — ქუთაისი. ეს არის ალტაკების სისტემა 12, მაღალი დონის აპარატურა. შექმნილია ელექტრონული ფოსტის ქსელი, რომლითაც შესაძლებელი გახდა სბანკო ოპერაციების გამართვება. უკვე გადარიცხვები იქნება მომენტალური.

ესაუბრა
ნინო ზამთარაძე

ПОЛЕМИКА

წერილი უნამუსოზე და წერილი უნამუსოსადმი

წერილში „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორისადმი“ (გაზ. „საქართველო“ №13), ამ უკანასკნელის მიერ ცილდაწამებულმა ნ.ნათაძემ ერთი გადაკრული ბბზაცი ჩართო, სადაც აღწერილია ნეპის წინადროინდელ რუსეთში გავრცელებული „რეკეტის“ ასეთი ფორმა: მკბენარებით დახუნძლული „პაკანა“ მიდის სუფთად ჩაცმულ მოჭალაჭესთან და ეუბნება: „ძია (ან დეიდა), სამი მანეთი მომეცი, თორემ გაგეხახუნებიო“. სულდგმულთა უხვი კოლექციით დახუნძლულმა რედაქტორმა წივწივაძემ, ბუნებრივია, არ იცმარა ეს მკირე ჰონორარი, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნათაძეზე თავდასხმის შეკვეთა მას ზემოდან აჭვს, და ნათაძეს „რაც ენაზე მომადგებას“ პრინციპზე აგებული უწმაწური ტექსტების მთელი სერია მიაყარა. მე ალბათ გამიჭირდება, ამ ოპუსებს ან მათ ავტორს ჯეროვანი შეფასება მივცე, რადგან ვერც ერთი ეპითეტი,რომელსაც ისინი იმსახურებენ, ლიტერატურული ენის ფარგლებში ვერ თავსდება. მაგრამ გადავწყვიტე, მტყუან რედაქტორს ტყუილის ძირამდე ჩავყვე, ფაქტებში მაინც, რათა ბეწვი არ შევარჩინო იმ ინსინსუაციებისა, რასაც იგი და მის მხარს ამოფარებული ძმური კოლექტივი პატიოსანი კაცის წინააღმდეგ მიმართავენ. მკითხველმა შემინდოს, თუ მათ გარჩევამდე თვით ამ კოლექტივის რანგსა და ვინაობას შევეხები ძალიან მოკლედ.

ეს, უკაცრავად პასუხია, კოლექტივი, ერთის შეხედვით, მცირედ გამოიყურება რიცხვითაც და რანგითაც (მასში მხოლოდ თ.წივწივაძე, საბანკო სამყაროს ერთი არასაინტერესო, მაგრამ დაინტერესებული წარმომადგენელი და რამდენიმე უსახელო პარლამენტარი ჩანან). მაგრამ თუ სათანადო ანალიზს ჩაატარებთ თქვენს გონებაში, მიხვდებით, რომ მისი ერთი წარმომადგენელი მაინც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „კარგა დიდია“. რით მიხვდებით? იმით, რომ ჩვენი არამიამიტი პასკვილანტი იძულებულია, მიამიტობის სიმულაციას მიმართოს, თითქოს ვერ ხვდებოდეს, რას, ვის და რომელ კაბინეტს ეხება ნათაძის მეტაფორა „საქართველოს უმაღლესი წერტილი“, როცა იგი ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნებული საპასკვილო მასალების მიერ გავლილ მარშრუტებზე ლაპარაკობს. აი, ნათაძის სიტყვები: **„ამგვარად, ჩემი მხრიდან ამ ეპიზოდში უველაზერი რიგზეა, მაგრამ იგი არაა რიგზე სხვა მხრივ,კერძოდ, საკვლევია ქალალდის მოძრაობის ტრაექტორია, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმაღლეს წერტილსაც მოიცავს. (ცხადია, არ მაქვს მხედველობაში შხარის მწვერვალი, სპეტაკი და კაშკაშა, რომლის სიმაღლე, თუ არ ვცდები 5202 მეტრია)“.**

და აი, მტრედივით გულუბრყვილო პასკვილანტის სიტყვები,რომელმაც ეს თეთრი ბაგირებით შეკერილი მინიშნება ვერ ამოიცნო:

„ბატონო ნოდარ! თქვენი ინტერესების სფეროში ისიც შედის, თუ „ვინ წამოიღო ის ქალალდი იმ უმაღლესი წერტილიდან და რატომ? როგორ მოხვდა ის ქალალდი იმ უმაღლესი წერტილიდან გაზეთში? ცხადია, აქ „იმ უმაღლეს წერტილში“ ბატონი ნათაძე **ყაზბეგის საბაუოს გულისხმობს“!!).**

ცხადია, რომ ნოდარ ნათაძეს,რომელმაც — მთამსვლელობაში ოდნავ მაინც ჩახედული ყველა სხვა კაცივით — ყაზბეგის რაიონის გზაც და მთიანეთიც ხუთი თითივით იცის, ყაზბეგის საბაჟო ჩვენი ქვეყნის „უმაღლესი მწვერვალი“ ვერ ეგონება. (ამ საბაჟოს ზემოდან, სულ ცოტა, ორი შვეული კილომეტრის სიმაღლეზე აწვდილი კლდე დაჰყურებს). წივწივაძის მიამიტობა (ანუ, თუ ამ სომხურ სიტყვას ქართულად გადმოვთარგმნით, გულუბრყვილობა) ისეთივე ნაყალბევია, როგორიც ყოველივე სხვა მის წერილებში. მან იცის, რომელ „უმაღლეს წერტილზე“ ლაპარაკობს ნათაძე, მაგრამ სწორედ იმის გამო,რომ იგი „უმაღლესია“, მისკენ ახედვას ვერ ბედავს.

ახლა კი ხელი დავიკაპიწოთ და მივყვეთ თანმიმდევრული ნუმერაციით წივწივაძის წერილებში მოცემული ტყუილების ჩამოთვლას, რომელთა რიცხვი ზუსტად იგივეა, რაც ამ მოსაწყენი „ლადაობისა“ და უწმაწური ლანძღვა-გინების ზღვაში გაბნეული აზრების რიცხვი.

პირველი (ორმაგი) ტყუილი: წივწივაძე ჯიუტად იმეორებს, ბანკმა კრედიტი ნათაძის შუამდგომლობით გასცაო. სინამდვილეში იგი გაიცა მინისტრთა კაბინეტის საიდუმლო დადგენილებით. (ამაზე სიტყვას არ ვაგრძელებ, რადგან სათანადო მასალები გაზეთ „საქართველოში“ უკვე გამოქვეყნდა).

ასევე ტყუილია მეორე ნახევარი: კრედიტის გამცემი კერძო ბანკი (რომელთანაც ნათაძეს არაფერი საქმე არა აქვს და რომელსაც ნათაძესთან არაევითარი საქმე არა აქვს) ნათაძეს უკომენტაროდ უგზავნის „ფონდის“ სახელზე გაგზავნილი წერილის ასლს. წივწივაძე კი წერს, „ბანკი ნათაძეს პასუხისმგებლობას აკისრებსო“.

მეორე ტყუილი (ტიპიური საბჭოური პროვოკაციის სტილში) ეხება ნათაძის წიგნს „მითი და სინამდვილე“. წივწივაძე ბრჭყალებში წერს, რითაც შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს ნათაძის სიტყვები იყოს:

„ამას (ქრისტიანულ რელიგიას) უნდა დაუპირისპირდეს მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობა (როგორც ანოტაციაში წერს, ასეთი მისი წიგნია თ.წ.) მეცნიერულ-ათეისტური კლასიკური ფორმულით (იგი მარქსს ეკუთვნის) — „რელიგია ოპიუმია ხალხისთვის“.

ეს სიტყვები არც ნათაძეს ეკუთვნის, არც რედაქციას, რომელიც ანოტაციას წერს, არამედ წივწივაძის შეთხზულია. აი, ნათაძის სიტყვები:

„რაღა ვუყოთ რელიგიის მიერ გამომუშავებულ დებულებათა მეორე, თავისი მნიშვნელობის მხრივ უმთავრეს ნაწილს, რომელიც ამ მეცნიერულად შემოწმებადი სფეროს ფარგლებს გარეთ ძევს? რელიგიის მეორე და მთავარი არგუმენტი აზროვნების მეცნიერული წესის წინააღმდეგ სწორედ ამ დებულებებს ეხება.

ეს არგუმენტი უფრო რთულია. ადამიანს, — ასე გვეტყვის რელიგიის დამცველი, — აქვს ე.წ. „რელიგიური განზომილება“ ანუ, სხვა სიტყვებით, მას აქვს თანდაყოლილი და დაუძლეველი მოთხოვნილება, რომ გარკვეული კითხვების (ზოგი ამ კითხვათაგანი ცოტა ზემოთ დავასახელეთ) პასუხი იპოვოს. მეცნიერებას, რომელსაც მოვლენების მხოლოდ **ახსნა** შეუძლია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ძალუძს და, სხვათა შორის, თანამედროვე ადამიანის სულიერი დაბნეულობის, კრიზისის, დემორალიზაციის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ ადამიანი ამ კითხვათა პასუხს მეცნიერული, უფრო ზუსტად — მეცნიერულად მიმართული აზროვნებისაგან ელის, რომელიც ამ კითხვებს ვერ პასუხობს. ამ კითხვებზე პასუხს, რელიგიის დამცველის თვალსაზრისით, წარმოადგენს მხოლოდ რელიგია. ამგვარად, თუ მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის კლასიკური ფორმულით (იგი მარქსს ეკუთვნის) „რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“, რელიგიური თვალსაზრისის თანახმად, ადამიანის ასეთი მოღალატის როლში გამოდის მეცნიერება: იგი, თავისი დიდი წარმატებების ავტორიტეტს ამოფარებული, ადამიანს თითქოს ჰპირდება, რომ ყველა კითხვებზე პასუხს გასცემს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ კითხვათა ერთ ნაწილზე — სახელდობრ, ადამიანისათვის ყველაზე საინტერესო კითხვებზე ცხოვრების აზრის შესახებ და ა.შ. — მეცნიერებას პასუხის გაცემა არ შეუძლია! ამგვარად, მეცნიერული აზროვნების ჩვევა ადამიანს, თითქოს, ჩიხში იტყუებს. მეცნიერულმა აზროვნებამ დაამსხვრია ადამიანის უკრიტიკო რწმენა, მაგრამ სამაგიერო ვერაფერი მისცა: უძირითადეს საარსებო კითხვებზე (რომლებიც ზემოთ ვახსენეთ) ადამიანს ხომ მხოლოდ ისეთი პასუხები მოეპოვებოდა, რომელიც რელიგიური ხასიათისა იყო, ანუ რწმენაზე დამყარებული! მეცნიერულმა აზროვნებამ ადამიანს ამ კითხვათა რელიგიური პასუხი დააკარგვინა, მაგრამ სხვა, სანაცვლო პასუხი ვერ მისცა, რადგან ამ კითხვებებზე პასუხის გაცემა აზროვნების მეცნიერულ წესს პრინციპში არ შეუძლია. კრიტიკულმა მეცნიერულმა აზრმა ადამიანი, ასე ვთქვათ, გამოიტყუა იმ მოხერხებული ჩარდახიდან, რომელსაც მას რელიგიური რწმენა უქმნიდა, მაგრამ სხვა შენობა ვერ აუგო და იგი გარეთ, მიუსაფარი დატოვა.“

მესამე ტყუილი ან, თუ გნებავთ,ნახევარტყუილი, მაგრამ სამაგიეროდ დიდი სიბრიყვე წივწივაძის თხზულებებში ის გახლავთ, რომ იგი „აბეზღებს“ ნათაძეს მკითხველთან, — მარქსისა და ენგელსის „წმინდა ოჯახი“ (10 თაბახი) უთარგმნიაო, და ამიტომ „ენგელსის თუთიყუშიაო“, მაგრამ ამავე დროს უმალავს მას, რომ ნათაძე აგერ ოცი წელია ხელმძღვანელობს ფილოსოფიური მემკვიდრეობის სექტორს ფილოსოფიის ინსტიტუტში, რომ მას, ამ სექტორის პროფილის შესაბამისად, საკუთარი ხელით აქვს ნათარგმნი ჰეგელის „გონის ფილოსოფია“ (30 თაბახი) და „ისტორიის ფილოსოფია“ (ამავე მოცულობის). რედაქტირებული აქვს მონტესკიეს, ჰიუმის, კანტის, შოპენჰაუერის და ფილოსოფიის სხვა კლასიკოსთა კლასიკური შრომები.

„რაკი ზის და იმეორებს — თუთიყუშია, მა რა არის!“ — აი, წივწივაძის ლოგიკა და გონებრივი დონე. ოღონდ საკითხავია: რატომაა იგი მაინცდამაინც ენგელსის „თუთიყუში“ და არა ჰეგელისა,ან კანტისა, ან მონტესკიესი, ან ჰიუმისა, ან სხვა რომელიმე ღირსეული ფილოსოფოსისა,რომელიც მან ან ფილოსოფიის ინსტიტუტის ზემოხსენებულმა სექტორმა ქართულ კულტურას შესძინა?

მინდა მკითხველმა მაინც იცოდეს ეს სიმართლე: მარქსისა და ენგელსის ეს პატარა შრომა („წმინდა ოჯახი“), ისევე როგორც მარქსიზმი საერთოდ, ფილოსოფია არ არის. მაგრამ ეს შრომა მაინც პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ბრწყინვალე ნიმუშია. მისი გადმოქართულება, რასაც სჭირდებოდა გერმანული ენის, ფრანგული ენის, ლათინური ენის და, რაც მთავარია, ევროპული კულტურის კარგი ცოდნა, ნ.ნათაძის ბრალი კი არაა, არამედ ერთ-ერთი დამსახურებაა ქართული კულტურის წინაშე.

მეოთხე ტყუილი, უფრო ზუსტად — უხამსობა, რომელიც ტყუილს შეიცავს, შემდეგია. წივწივაძის მტკიცებით, ნათაძეს ადრეც „როგორც იმსახურებდა, ისე ექცეოდნენ“, მაგალითად, თურმე, ერთხელ ასეთი სიტყვებით გაუმასპინძლდნენ:

„ვინც სოფელს კარგად იცნობს და არა მხოლოდ სუფრაზე მირთმეული პროდუქტების მიხედვით, უსათუოდ ეცოდინება: ნახირში გამოერევა ხოლმე ცუდად მობალახე საქონელი (ბატონ ნოდარ ნათაძეზეა აქ საუბარი, თ.წ.), ააღერს თავს და ცოტას აქ მოძოვს, ცოტას — იქ“.

მეტაფორული აზროვნების ამ შედეგის ავტორია წივწივაძეზე ცოტა უფრო მეტად ცნობილი ლიტერატორი ვ.ჭელიძე. თურმე, „როცა ბატონმა ნათაძემ ჩვენი დიდებული მწერალი ვახტანგ ჭელიძე მოთმინებიდან გამოიყვანა, ამ ყოვლად ინტელიგენტმა კაცმა“ მაშინ იკადრა ზემოხსენებული მაღალმხატვრული ტროპის ხმარება. რით გააბრაზა ნათაძემ „დიდებული მწერალი“, წივწივაძე არ წერს, მაგრამ მე კი მოგახსენებთ. ამ ნაყოფიერებით (ანუ გამოცემისუნარიანობით) განთქმულ მთარგმნელსა და დირექტორს ნათაძემ ბრალად დასდო შემდეგი.პირველი: მკითხველს „ზომა-წონაში ატყუებთო“, რაკი ორიგინალის მეტ-ნაკლებად რთულ ნიუანსებს უთარგმნელად ტოვებთ და ამით მსოფლიო ლიტერატურის შედევრები საშუალო ნაწარმოებთა დონეზე ჩამოგყავთ, საშუალები კი — მდარე ნაწარმოებთა დონეზეო, მეორე: — ინგლისური ცუდად იცითო; მესამე — მაპატიეთ, მაგრამ არც ქართულში ბრწყინავთ, რადგან იმდენად ღარიბი ლექსიკონი გაქვთ, რომ ორიგინალის საკვანძო სიტყვებსაც კი ზუსტ თარგმანს ვერ უძებნითო. ზემოთ ციტირებულ გამოთქმასაც „ძოვის“ შესახებ ნათაძემ პასუხი არ დაუგეიანა: ლიტერატურა საძოვარი ნუ გეგონებათ, იგი შემოქმედების ასპარეზია და არა ხალტურისაო. „ყოვლად ინტელიგენტმა“ ვ.ჭელიძემ ამ შენიშვნას „პასუხის პასუხი“ აღარ დაუპირისპირა. ახლა მკითხველმა იმსჯელოს: ის წივწივაძის მიერ ციტირებული დისკუსია (რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ეურნალებში, ჭელიძის წიგნებში და ნათაძის წიგნში „სიტყვა და სახე“) ნათაძის ლიტერატურული ბიოგრაფიის მინუსების სვეტშია შესატანი, სადაც იგი წივწივაძეს შეაქვს, თუ პლუსებისაში?

იმავე „ყოვლად ინტელიგენტი“ მოღვაწის ოპუსიდან წივწივაძეს კიდევ ერთი, რიგით მეხუთე ტყუილი და უხამსობა აქვს ნასესხები. თურმე,ნათაძეს იმიტომ დაუწუნებია ჭელიძის მთარგმნელობითი სტილი და მისი ალმანახი „ხომლი“, რომ მასზე განაწყენებული ყოფილა, განაწყენებულა კი იმიტომ,რომ „იმ გამომცემლობაში, სადაც ალმანახი გამოდიოდა, კატეგორიული უარი უთხრეს წერილების წიგნში შეეტანა თავისი მკრეხელური გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ“. ჭელიძის ამ ციტატს წივწივაძე ასე განმარტავს:

„ბატონი ნათაძე,რომელიც მეცნიერი და მკვლევარი, წლების განმავლობაში იკვლევდა — იყვნენ თუ არა ერთმანეთთან სქესობრივ კავშირში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები — ტარიელი და ავთანდილი“. საბედნიეროდ, ნათაძის „მკრეხელური გამოკვლევაც“ გამოქვეყნებული გახლავთ და ის რუსთველოლოგიური ნაშრომიც, რომლის პასუხსაც ნათაძის ეს გამოკვლევა წარმოადგენს. ეს ნაშრომი ეკუთვნის არც მეტი, არც ნაკლები ზურაბ ავალიშვილს (ეგებ წივწივაძეს სმენოდეს ეს ჯვარი) და გამოქვეყნებულია პარიზში სათაურით „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ 1931. თავში „მიჯნურობა“, სადაც სიყვარულთან ერთად მეგობრობაცაა განხილული, ავტორი (ზ.ავალიშვილი) წერს: „იდეალური პლატონისებური მეგობრობა და რუსთაველისავე მიერ ნაქები „უხორცო“, კარგი მიჯნურობა ახლო ნათესავებია“ (გვ. 150) შემდეგ:

„ზემოთ მოყვანილი სიტყვები

„მას ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი“

მარის აზრით, მეგობრული ფიცის რაღაც წესს ან რიტუალს გულისხმობს. ასედაც იქნება“. მაგრამ, ზ.ავალიშვილის აზრით, „შეუძლებელია,რომ აქ ყოველთვის ფიცის რიტუალი იგულისხმებოდეს“, რის საილუსტრაციოდაც იგი იმოწმებს ტაეპებს:

არ გაიყარნეს მას ღამით,
კვლავ ცეცხლი გაიზიარეს
მას ღამესა ერთგან იყვნეს,
ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა.

ამ სტრიქონთა ზ.ავალიშვილისეული ინტერპრეტაცია ასეთია:

„ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობა უმთავრესად ძველი სამართლის ძმად-ნაფიცთა კავშირზედ არის დამყარებული. სხვა ჰანგებითაც გართულებულია: იმ ძველი, შემდეგ დავიწყებული სალიტერატურო ტრადიციითაც,რომლის წყარო პლატონის „მეჯლისში“ უნდა ვეძებოთ“ (გვ. 152).

ვინც წივწივაძეზე ცოტა უფრო განათლებულია და პლატონის „მეჯლისიც“ („ნადიმიც“) სმენია, მიხვდება,რაზე ლაპარაკობს ავალიშვილი. საქმეში სწორად გარკვევისათვის მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ ზ.ავალიშვილი თავის მსჯელობაში ემყარებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული წარმომავლობის აწ უკვე უარყოფილ კონცეფციას. მაგრამ მეცნიერება მეცნიერებაა და ზ.ავალიშვილის ამ ჩვენთვის არც თუ სასიამოვნო ექვს საბუთიანი უარყოფა სჭირდება. ეს ამოცანა მოკლედ და შეუვალი დამაჯერებლობით გადაჭრა ნათაძემ (თუმცა ამისთვის „წლები“ არ მოუნდომებია,როგორც წივწივაძე გვამცნობს, არამედ გაკვრით შეეხო თავის წიგნში). რატომ ნათაძემ და არა სხვამ? იმიტომ, რომ იგი ლინგვისტია, ქართველოლოგია, ამ გამოკვლევას კი, გარდა ლიტერატურაფილოსოფიის ცოდნისა და ზოგადი განათლებისა,ტექსტის ენის პროფესიული ცოდნაც სჭირდებოდა. **ახლა განსჯა ობიექტურ მკითხველს მივანდოთ: რა მიზანი და რა ღვარძლი უნდა ამოძრავებდეს კაცს,რომ დებულება,რომელსაც კაცი ეკამათება, მასვე მიაწეროთ და „მკრეხელობად“ ჩაუთვალოთ!** მართალია, წივწივაძე (როგორც მოგვახსენეს „კეთილისმსურველებმა“) ბერბიჭა ყოფილა (არ მინდა შევთხზა ახალი სიტყვები: „ბერლაწირაკა“ და სხვა ამგვარი)

და წარმოსახვაც, შესაძლოა, არც მთლად ჯანსაღად ჰქონდეს მიმართული, მაგრამ განა ეს არაჯანსაღი მიმართულება კმარა იმისთვის,რომ ასეთი სარეკორდო სიცრუე გაკადრებინოთ? ამიტომ არ დავმალავ, ეჭვი მაქვს, რომ ამ შემთხვევაშიც ჩვენს პასკვილანტს მხოლოდ ღვთიური შთაგონებით კი არა, არამედ მიწიერი შეკვეთითაც უმუშავია. თუ არა, მაშ რა კავშირი აქვს თარგმანებსა და „ცუდად ბალახობას“ პარლამენტის სხდომებთან, რომელსაც წივწივაძე ასე იხსენიებს: „ყოფილიყო ბატონი ნოდარ ნათაძე აქ, მხატვრული თარგმანის სფეროში და ამდენს რას გააფუჭებდა! აბა სად ვსდიოთ ახლა პარლამენტის სხდომებზე — ცუდად მობალახე საქონელივით რომ ააღერს თავს და წინასწარ თვითონაც არ იცის,რომელ მიკროფონთან მივა და რას იტყვის“.

მოგეხსენებათ,გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ალბათ, მარფლაც დიდი გაჭირვება ადგას იმ ზემოხსენებულ შემკვეთს, თუ იგი იძულებული ხდება, ამ ბუნებისაგან დაჩაგრული კაცის უილაჯო ბოღმაც კი თავისი მიზნისთვის გამოიყენოს! აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამავე პასკვილში წამოყენებული ბრალდება ნ.ნათაძის მიმართ, ეს ხომ არაშერაცხადი პიროვნებაა. წარმომიდგენია, რა მხილებებს (ან მხილებას) უნდა მოელოდეს ნ.ნათაძისგან ის შემკვეთი, თუკი წინასწარ სჭირდება მისი „არაშერაცხადობის“ დამტკიცება,რათა თავი დაიცვას ამ მხილებებისაგან?

რაკი სიტყვა ნათაძის რუსთველოლოგიურ საქმიანობას შეეხო, ბარემ წივწივაძის კიდევ ერთ ტყუილსაც შევეხოთ. წივწივაძე ირონიით მიგვანიშნებს,რომ ნათაძეს მრავალი სპეციალობა ჰქონია (და, ცხადია, გულისხმობს, არც ერთში ღმერთს არ უქნიაო):ფილოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა. ფილოსოფიაზე სხვამ იმსჯელოს. რაც შეეხება რუსთველოლოგიას, მინდა მკითხველმა იცოდეს: დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ სულ რამდენიმე კრიტიკული ანუ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი არსებობს. ამათში ერთი ნათაძისაა. ამასთან, ნათაძის ტექსტს (ერთადერთს!) დართული აქვს იქვე, თავების ბოლოს ყველა ძნელი სიტყვის ან გამოთქმის განმარტება და ყველა მეტაფორის გახსნა.ეს იმას ნიშნავს,რომ ნათაძე, როგორც ტექსტის დამდგენი, ოფიციალურ პასუხისმგებლობას კისრულობს,რომ ტექსტი მთლიანად გაშიფრული აქვს შინაარსობრივად და არცერთი სტროფი გაუაზრებლად არა აქვს გადმოტანილი ხელნაწერებიდან. ამგვარად,წიგნს თუმცა აწერია „სასკოლო გამოცემა“, იგი, არსებითად, აკადემიური გამოცემაა. გარდა ამისა: „ვეფხისტყაოსნის“ სულ ორი კომენტარი არსებობს, ერთი ეკუთვნის ვახტანგ VI-ს (1712 წ.), მეორე — ნათაძეს (იმავე გამოცემაში).გარდა ამისა, ნათაძეს აქვს ნამდვილად ფუნდამენტური გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ რაობაზე და მის ადგილზე მსოფლიო კულტურაში,რის გამოც, სხვათა შორის, ორ იმ დროს ახალგაზრდა კაცს — ნ.ნათაძეს და ს.ცაიშვილს — და არა ვისმე სხვას,დაევალა დაეწერათ წიგნი „რუსთაველი და მისი პოემა“,რომელიც ექვს ენაზე გამოიცა და რომლითაც ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ რუსთაველის 1966 წლის იუბილე მოისტუმრა. ახლა წივწივაძეს თუ არა, მასზე ცოტა უფრო ნამუსიან ადამიანებს ვთხოვ პასუხს კითხვაზე: ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვინ არის დღეს ყველაზე შედეგიანი რუსთველოლოგი ჩვენს ქვეყანაში? და, ბარემ კითხვაზეც: თუ ნათაძის ზემოხსენებული ნაშრომები კარგი არ იყო, რატომ მოხდა, რომ შურით, ანუ „სხვისა სიკეთესა ზედა წუხილით“ (სულხან-საბა) მოცულ ჩვენს საზოგადოებაში არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც ამ უაღრესად დიდგანაცხადიან ნაშრომებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებდა?

ახლა დავუბრუნდეთ ხსენებულის მეზობელ თემას, რომელიც, თუ სათვალავში არ შეგვეშალა, რიცხვით მეშვიდე ტყუილი უნდა იყოს (თუ არ ჩავთვლით ნათაძის რუსთველოლოგიური შრომების გაბიაბურებას წივწივაძის მიერ). ნათაძის გასაშავებლად წივწივაძე არც მეტი, არც ნაკლები,უზენაესი საბჭოს კულტურის კომისიის ყოფილი თავმჯდომარის თემურ ქორიძის ნათქვამს იმოწმებს. სახალხო ფრონტი,რომლის თავმჯდომარე, ნათაძეა, სუკის ინიციატივით ყოფილა დაარსებულიო.

აი, ამ კოლორიტული პერსონაჟის (თ.ქორიძის) ინტერვიუც გაზ. „შანსში“, განა სახალხო ფრონტი კგბ-ს შექმნილი არ გახლდათ? სწორედ იქედან გადმოსული ხალხი გაბატონდა შემდეგ „მრგვალ მაგიდაშიც“.

„შანსი“. კარგით, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ნოდარ ნათაძე კგბ-ს შემოგზავნილია?

თ.ქორიძე. ნოდარ ნათაძე არა, მაგრამ კგბ-ს შემოგზავნილობას მანდატი და ბილეთი არ სჭირდება. ისე, ერთი რამ უნდა ახსოვდეს ყველას, ნოდარ ნათაძეც და აკაკი ბაქრაძეც ზვიადის ინიციატივით იქნენ არჩეულნი სახალხო ფრონტის და რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეებად. ეს სიტყვები ქრესტომათიული ნიმუშია კაცის გასვრის ტექნიკისა, რომელსაც სუკი თავის დროზეც ფლობდა და, ცხადია, ახლაც ფლობს. (ახსენებენ კაცს ცუდ კონტექსტში და მერე ეძიეთ, რა აზრით ახსენეს). კომენტარის სახით უნდა მოგახსენოთ ის,რაც მახსოვს,რადგან სახალხო ფრონტის შექმნის უშუალო მოწმე ვარ. სუკს, ცხადია, ჰქონდა დიდი ინტერესი სახალხო ფრონტისადმი და ჩაშალა კიდეც მისი დამფუძნებელი ყრილობა (ფიზიკური ობსტრუქციის მეთოდით) კინოს სახლის დარბაზში 1988 წლის 28 ნოემბერს, საღამოს, როცა მთავრობის სახლთან დიდი მიტინგი იყო გამართული. მაგრამ მის ზეწოლის ხაზი ის იყო,რომ ფრონტს თავის პროგრამაში არ ჰქონოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და რომ იგი ყავის მსმელ მოლაყბე ორგანიზაციად ჩამოყალიბებულიყო. საპირისპირო ხაზს ადგა ნ.ნათაძე და გაიტანა კიდეც. არავინ მალავს, და არცაა დასამალი, რომ ამ ხაზის გამარჯვებას დამფუძნებელ ყრილობაზე ხელი შეუწყო ყრილობის პირველ დღეს ზ.გამსახურდიას და მ.კოსტავას დასწრებამ. მაგრამ რატომ თვლის ან პასკვილანტი ან ქორიძე,რომ ეს ფაქტი ჩრდილს აყენებს ან ფრონტს, ან ნათაძეს? სხვათა შორის, მოპირდაპირე მიმართულებასაც მედგრად იცავდნენ კარგად ცნობილი ადამიანები ალ.ჯავახიშვილისა და ე.შენგელაიას მეთაურობით, მათ შორის დღევანდელი პარლამენტის არაერთი წევრიც. რომელ მიმართულებას უგულშემატკივრებდა (რა თქმა უნდა „პლატონურად“) სუკი, ამის ამოცნობა მკითხველისთვის მიმინდვია.

აი, ამ მოკლეფეხება ტყუილებისთვის დახარჯა შეკვეთით ცრუპენტელა რედაქტორმა გაზეთის რამდენიმე გვერდი იმ დროს, როცა ერთი ტონა ქაღალდი არანაკლებ 400 დოლარისა ღირს და ბევრ ნიჭიერ ლიტერატორს და მეცნიერს სტრიქონის დაბეჭდვა ენატრება! ჩემი პასუხით ამ ტყუილებზე ჩემს ამოცანას დღეისათვის ამოწურულად ვთვლი, მაგრამ შემინდოს გაზეთმა,რომელსაც მივმართე,თუ ერთ აბზაცს კიდევ დავახარჯვინებ იმის პირადი დასჯისათვის,ვინც ზემოხსენებული უსვინდისო ფლანგვა ჩაიდინა. მკითხველი შენიშნავს,რომ წივწივაძე ხშირად ხმარობს გამოთქმას „ეს საცოდავი ნათაძე“, „ამ საცოდავმა ნათაძემ“, „ამ საცოდავს“ და ა.შ. (თუ ნ.ნათაძე „საცოდავია“, მაშინ გვარით დაასახელოს წივწივაძემ, ვიღაა „არასაცოდავი“? მაგრამ საქმე ეს არ გახლავთ). ეს სიტყვა — „საცოდავი“ — თავისი პირდაპირი სემანტიკით სალანძღავი სიტყვა არ არის.თუ ვიღაცა შესაცოდია,იგი თანაგრძნობას მოითხოვს და არა დაგმობას ან აბუჩად აგდებას. მაგრამ თუ ამ სიტყვას სალანძღავად იხმართ, ეს იმას ნიშნავს,რომ სხვებთან დამარცხებას აყვედრით ისეთ პიროვნებას,ვინც თქვენთან ურთიერთობაში გამარჯვებული აღმოჩნდა,და ამით მასზე „რევანშს“ იღებთ. მე ვსვამ კითხვას: ვისი ლექსიკონისაა ეს სიტყვა, როგორც ლანძღვის გამომხატველი? დამეთანხმებით, წარმატებული კაცის ლექსიკონი ამ სალანძღავი სიტყვის გარეშეც იოლად წავა. ეს მამაკაცისაგან მიტოვებულ ქალთა ლექსიკონის დამახასიათებელი სიტყვა გახლავთ,რომლითაც მანდილოსანი, თითქოს, ნიშნს უგებს თავის დამჩაგრავს — მე ხომ გამაუბედურე,მაგრამ სხვებთან შედარებით სუსტი და არად ჩასაგდები ხარო. არ დავმალავ: არ მიკვირს ამ სიტყვის ესოდენ ხშირი გამოჩენა წივწივაძის შემოქმედებასა თუ თვითშემოქმედებაში. საქმე ის გახლავთ,რომ თუმცა წივწივაძე მწერალი არაა,იგი მწერალთა კავშირის წევრი არის და ეიფორიის წუთებში თავს, ალბათ, მწერლის მოქალაქეობრივი და პატრიოტული მოვალეობებით დატვირთულადაც თვლის. ამ მოვალეობებს კი,როგორც ვიცით, ქართული მწერლობა დღეს, რბილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც ვერ ასრულებს. მწერალს ადრე ცა ნიშნავდა და ერი ზრდიდა, როგორც მიწიერი ზეციერსა, და ამ მაღალი მოწოდების კვალი ჩვენს მწერლობას საბჭოთა ეპოქაშიც კი გამოჰყვა ჩრდილად, როცა მაჩაბლის ქუჩიდან არაერთხელ გვსმენია გაბედული სიტყვა, რაკიღა სიტყვას იმ დროს, საქმის არარსებობის გამო, წონა ჰქონდა. დღეს იმავე დარბაზიდან, პირიქით, ესენგეს ხოტბა გვესმის, ხოლო პარლამენტში არსებული მწერლები და ვითომ-მწერლები საქართველოს ყელზე ყულფის ჩამოცმას ხელს უწყვეს. დიახ, ერის ტრაგიკული ბრძოლა თავისუფლებისათვის, მიწა-წყლისათვის,ეროვნული გადარჩენისათვის მწერლობას რამდენიმე გამონაკლისის გარდა, განზე დარჩა. შესაბამისად, მწერლობაც ერის ისტორიულ ცხოვრებას განზე დარჩა. ნოდარ ნათაძე, როგორც მოგეხსენებათ, მწერლობაში ჩახედული კაცია: კრიტიკოსიც ყოფილა, ფილოლოგიც ბრძანდება, კალამიც პუბლიცისტიკაში სხვაზე არანაკლებ უჭრის. იმაზე ბუნებრივი არა არის რა,რომ ეს კაცი, როგორც პროფესიულად ახლოს მდგომი, მაგრამ ამავე დროს სხვა საქმეშიც შეძლებისდაგვარად აქტიურად ჩაბმული, ვინმეს გაღიზიანებას იწვევდეს. მაგრამ ეს,რაც ვთქვი, მხოლოდ ჰიპოთეზაა ჩვენი პასკვილანტის ლექსიკის საანალიზოდ, სხვა არაფერი. თუ რამ შევცოდე ჭეშმარიტი დიაგნოზის წინააღმდეგ, ღმერთმა შემინდოს...

ახლა კი — რადგან თქმულა,პოლემიკას პირდაპირი მიმართვა უხდებაო, — მეორე პირშიც მივმართოთ ჩვენს პასკვილანტს, თუმცა საეჭვოა, როგორ უნდა მოვუხერხოთ ეს იმგვარ სულიერს, რომელსაც პირიანობისა არაფერი ეტყობა. ფილმის გმირი კითხულობს: „დოქსოპულო, დედა გყავს?“ჩვენც ვიკითხოთ: წივწივაძეს, დედა გყავს? ეგებ გყავს კიდეც, თუმცა, შენი ნათითხნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღობის ძირას საკუთარი ინიციატივით აღმოცენებულს უფრო ჰგავხარ, ვიდრე ოჯახში გაზრდილს. ეგებ მამაც კი გყავს (არ ვიცით), თუმცა უნდა გამოგიტყდეთ,რომ თუ გყავს, ამაოდ გარჯილა. მაგრამ ერთი ვინმე კი ნამდვილად გყავს: მარჩენალი,რომელიც არც დედად გერგება, არც მამად, არც ბიძად და არც პაპიდად და ამიტომ სრულებითაც არ ენაღვლება იმისი ზნეობრივი სახე დღეს და მომავალში, ვისაც თავისი ამოცანის სამსახურს ავალებს. იმ შენს მარჩენალს შეარგოს ღმერთმა ყველა ის ეპითეტი,რაც შენ დაამსახურე შენი ტყუილებით და რაც ლიტერატურული ენის პატივისცემის გამო ქაღალდს ვერ მივანდეთ! შენც შეგარგოს შენი საკუთარი ლექსიკონი, რომლითაც ცილისწამებისა და ბილწსიტყვაობის ჟანრში მუშაობ და რომლიდანაც ვერასოდეს ამოყვინთავ, ალბათ, რადგან კეთილშობილური გამოთქმების მოთხოვნილებას მხოლოდ კეთილშობილური სულისკვეთება ქმნის!

ახლა კი მინდა მივმართო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრებს: რეზო ამაშუკელს, ჭაბუა ამირეჯიბს, ბაღათერ არაბულს, ირაკლი ბაზაძეს, აკაკი ბაქრაძეს, გურამ გეგეშიძეს, გივი გეგეჭკორს, გურამ გვერდწითელს, ნოდარ გრიგალაშვილს, აკაკი ვასაძეს, ლაშა თაბუკაშვილს, ჯემალ ინჯიას, გენო კალანდიას, ემზარ კვიტაიშვილს, კარლო კობერიძეს, თეიმურაზ ლანჩავას, მურმან ლებანიძეს, დავით მაღრაძეს, ელგუჯა მაღრაძეს, რევაზ მიშველაძეს, ლადო მრელაშვილს, ლია სტურუას, ჯანსუღ ღვინჯილიას, ოთარ ჩხეიძეს, ანა კალანდაძეს, კობა იმედაშვილს, დავით მჭედლურს, შოთა ნიშნიანიძეს, ირაკლი სამსონაძეს, გიგი სულაკაურს, გურამ ფანჯიკიძეს, შადიმან შამანაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, თამაზ წივწივაძეს, ტარიელ ჭანტურიას, რეზო ჭეიშვილს, ოთარ ჭელიძეს, თამაზ ჭილაძეს, გივი ჭიჭინაძეს, ბადრი ჭოხონელიძეს, ამირან ხაბაზს, ფრიდონ ხალვაშს, ვახტანგ ხარჩილავას, ვახტანგ ჯავახაძეს, ჯანო ჯანელიძეს, რევაზ ჯაფარიძეს, იორამ ქემერტელიძეს, არჩილ სულაკაურს და ვკითხო შემდეგი: ბატონებო, მოგწონთ თქვენი გაზეთის, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად ბატონი თამაზ წივწივაძე? თუ მოგწონთ, თქვენც შეგარგოთ ღმერთმა ეს რედაქტორი...

გ. დავითური

რატომ გვჭირდება დემოკრატიული რუსეთი

რუსეთი განაგრძობს ინტერვენციას საქართველო-აფხაზეთის მიმართ

რიტორიკა კლინტონელციანის უმაღლესი შეხვედრისა მდგომარეობს იმაში, რომ ორმა მეგობარმა ქვეყანამ უნდა ითანამშრომლოს და იმუშაოს იმ საკითხებზე, რომლებიც განსხვავებულია მათ შორის. სინამდვილეა ის, რომ რუსეთს მოუხდება თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შემოტრიალება, რაც გამოიწვევს ელციანის რეფორმათა რეჟიმის შემცირებას. რუსეთისათვის თვალსაჩინოა ისიც, რომ უნდა მოხდეს მისი პოლიტიკისა და ეკონომიკის პროგრესი. ელციანს სჯერა, რომ რუსეთი გადაიქცევა „ნორმალურ“ ქვეყნად. ამერიკელები არ არიან საბოლოოდ დარწმუნებულნი რუსეთში, მაგრამ მათ სურთ, რომ ეს ასე მოხდეს. რუსეთი კვლავ მერყეობს, თუ იგი გააგრძელებს მერყეობას და არ შეცვლის ნაწილობრივ მაინც თავის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გეზს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ერთის მხრივ ნაციონალიზმი და მეორე მხრივ, იგი მოექცევა იზოლაციაში. სანამ ა.შ.შ. იგნორირებას გაუკეთებს ფუნდამენტალურ ისლამურ ექსპორტს და ტერორს, რეაქციამ შეიძლება უკუსაპირისპირო შედეგები გამოიწვიოს და რუსეთი შეეცადოს თავისი სეპარატისტული სისტემის აღდგენას. თუ მოსკოვი კვლავ გაწევს იზოლაციას და მბრძანებლობას თავისი ყოფილი რესპუბლიკების მიმართ, შედეგად მოხდება ლტოლვილების მიგრაცია მის ტერიტორიებს გარეთ. ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთმა შეწყვიტოს ინტერვენცია, რომელსაც იგი ფართოდ ახორციელებს. რუსეთი განაგრძობს პარალელურ ინტერვენციას საქართველო-აფხაზეთის მიმართ. რუსეთი კვლავ თავის პოლიტიკას ატარებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. ვაშინგტონი, რომელიც არეგულირებს კონფლიქტს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ხელი ჰკრა მოსკოვს თავისი შეიარაღებული ძალებითურთ. ელციანის ვიზიტმა ვაშინგტონში ერთხელ კიდევ დაადასტურა ის, რომ ნაციონალიზმი და ფაშიზმი უნდა მოსცილდეს მის მიერ გატარებულ პოლიტიკას.

სტეფან როზენფილდი

„ვაშინგტონ პოსტი“
30 სექტემბერი, 1994 წელი

მოამზადა
ქეთი დავლიანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი რუბრიკის დაბადება

»საქართველოში შენ ერთი მაინც, არ იტყვი როგორც იტყვიან სხვები«

რედაქტორისაგან:

მკითხველი მიჩვეულია ინტერვიუები იკითხოს და მოსაზრებები ისმინოს იმ ადამიანებისა, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე ტივტივებენ და ხშირ შემთხვევაში, გარკვეული დროის შემდეგ, ასპარეზიდან უკვალოდ ქრებიან ხოლმე. (ცხადია, ფიზიკურ გაქრობას არ ვგულისხმობთ).რატომღაც ჩრდილში გვრჩება ის ხალხი, ვისაც თავად არ სჩვევია „მოწინავეებში“ დგომა. ასეთები, საბედნიეროდ, ცოტანი არ არიან, არც მეცნიერებაში, არც ხელოვნების ნებისმიერ დარგში, არც სხვა პროფესიის ადამიანებში. რედაქცია სიამოვნებით უთმობს ასეთ ჩუმ და პატიოსან მოღვაწეებს ტრიბუნას და მკითხველს სთავაზობს ახალ რუბრიკას — „საქართველოში შენ ერთი მაინც, არ იტყვი როგორც იტყვიან სხვები“. ამ რუბრიკასაც თავისებური განმარტება სჭირდება — რესპონდენტები ხშირად იმას ამბობენ და ისე ამბობენ, რაც სხვათა გაღიზიანებას ან თავისი „კლანის“ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ანუ მავანი ქულების დაწერაზე მეტს ფიქრობს, ვიდრე იმის თქმაზე, რასაც იგი ფიქრობს სინამდვილეში...

აქედან გამომდინარე, ვეცდებით ისეთი პიროვნებები წარმოგიდგინოთ აღნიშნული რუბრიკით, ვინც ამას თავისი ცხოვრების წესით იმსახურებს. მათ ნააზრევში ბევრ რამეს შესაძლოა არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ ვიცით, რომ ეს ნააზრევი მათია და არა სხვათა საამებლად, ან პირადი წყენის გამო სხვათა გასაკიცხად გამოთქმული.

დღევანდელი ნომრის სტუმარია ბატონი ზურაბ კიკნაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ახალი რუბრიკის ნათლობა მასთან საუბრით შედგება. ერთ-ერთი კორესპონდენტი კი ინტერვიუსათვის ბატონ ბაჩანა ბრეგაძესთან გაემგზავრება...

ზურაბ კიკნაძე:

სამწუხაროდ, სწორი აღმოჩნდა თეზისი: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“

— ბატონო ზურაბ, ჩვენი საუბარი სჯობდა უფრო ადრე შემდგარიყო, თუნდაც თქვენი ოცბლეს გამო. რას ნიშნავს თქვენთვის სამოცი წელი? ცდილობთ კრიტიკულად გადახედოთ წარსულ წლებს, თუ განსაკუთრებულს ვერაფერს გრძნობთ ისეთს, რასაც უოველდღლურად არ ფიქრობს კაცი?

— იუბილე ამაყად ელერს. მე ამ ხარისხში არ განვიცდი ამ ასაკს, მიკვირს მხოლოდ, რომ ამ ხნის შევსრულდი. შეიძლება ეს მრგვალი თარიღი — ასურულ-ბაბილონური საკრალური სრული რიცხვი (შე სპეციალობით ასირიოლოგი ვარ) იქნებ სხვამ ჩათვალოს რაღაც მიჯნად, როცა დრო დგება, რომ წარსულს გადახედოს კაცმა. მაგრამ ყოველი დღე ასეთი არ არის? მთელი ჩვენი წარსული ყოველდღიურად თან არ გვახლავს? ის სადღაც, სხვა ეროულ განზომილებაში არსებობს? წარსული ყოველდღიურად ჩვენთან არის და მასში გამუდმებით ვიხედებით. ალბათ იშვიათია ადამიანი, რომელიც ჩაიხედავს თავის წარსულში და დატკბება სახილველით. მაინც ის ხანაში სულდგმულობდა შორეული იმედი, რომ ეს, რაშიც ცხოვრებამ მოგვიწია, დაემხობოდა. დაემხო, მოვესწარით, მაგრამ დარჩა კვამლი, რომელიც წამლავს ჰაერს, როგორც მოკლული გველეშაპის შხამი კვირის სიზმარში. რაც „სოციალიზმმა“ დაგვიტოვა, ავგიასის თავლასავით გასაწმენდია. გმობა-შეჩვენება, ძეგლების ჩამოგდება და სახელწოდებათა შეცვლა არ ყოფილა საკმარისი. ეს ხომ დავინახეთ. „შეინანეთ“ — ეს მოწოდება, თუ სწორად გავიგებთ, ანუ გამოიცვალეთ თქვენი ფიქრები, ყოველთვის აქტუალურია.

— როგორ გგონია, რამდენად განვითარებადია მეცნიერება, კულტურა, ინტელექტუალური სფერო ჩვენს პირობებში, მატერიალურ სირთულეებს ვგულისხმობ. ხომ არ არის მოსალოდნელი გონის და სულისმიერი პოტენციალის შესუსტება?

— ასეა, თანამედროვე (ის ორასი წლის მაინც არის) მეცნიერების ბევრი დარგი ინდუსტრიაზეა დამოკიდებული, რომლის გარეშე ის ნაბიჯს ვერ გადადგამს. კულტურის ბევრი სფეროც ასევე ტექნიკურ აღჭურვილობას მოითხოვს. მუსიკალური ნაწარმოები რომ ჩანაწერის ადექვატურად შესრულდეს, საუკეთესო ინსტრუმენტებია საჭირო, საუკეთესო დარბაზი, საუკეთესო სტუდია, აპარატურა ჩასაწერად... კარგი მხატვრობისთვის საღებავები, სიმყუდროვე... აღარ ვლაპარაკობ კინემატოგრაფიაზე. კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას კლავს კარჩაკეტილობა, მოოფლილ გამოცდილების გაუზიარებლობა. ასევე საორტსაც. კარგად გვახსოვს „დინამოს“ დაცემა საკვანძო თამაშებზე უარისთქმის შემდეგ... ხელმოკლეობა, სიდუხჭირე, მასიბრივი უგემოვნობა, უტილიტარიზმი — არ არის საუკეთესოფონი კულტურისა და ხელოვნებისთვის. მაგრამ ვერ ვიფიქრებ, რომ ამ დროს ხდება სულიერი, შემოქმედებითი შესაძლებლობების შესუსტებაან დაკნინება. იქნებ პირიქითაც იყოს. ახლა რაღაც იწირება, რომ მომავალში სხვა ძალით იფეთქოს. სული არ იკარგება. დღეს არ ქრის, მაგრამ ხვალ, ვინ იცის, საიდან დაუბერავს. ბოლოს და ბოლოს, შემოქმედისთვის — მწერალი იქნება, თუ ფილოსოფოსი, თუ კინემატოგრაფი, ჩვენი დღევანდელობა მდიდარ მასალას იძლევა მხატვრულად თუ ფილოსოფიურად გარდასაქმნელ-გადასაბერვლად.

— თანაც უამრავი ადამიანი (ამბობენ, საუკეთესონი) სტოვებს საქართველოს. ხომ არ არის ეს გაქცევა ღალატი? ან არის თუ არა ეს გამოსავალი ვინმესათვის?

— ბევრისთვის წასვლა, დავარქვათ თუნდაც გაქცევა, მართლაც გამოსავალია. ყველას არ შეუძლია იმ ჰაერით სუნთქვა, რომელიც ახლა ჩვენში ჩამოწვა. შემოქმედის ნიჭი, ნიჭიერება, რიყეზე არ ყრია. მისი არსებობა უმცირესი ალბათობისაა. ის დღევანდელობას წინ უსწრებს, რაღაც წინდს სდებს სამომავლოდ და მას ნიადაგი ესაჭიროება. ერთ „გაქცეულს“ ვკითხე სხვა „გაქცეულზე“, მის კოლეგაზე, როდის აპირებს დაბრუნებას-მეთქი, მიპასუხა: რატომ გგონიათ, რომ დაბრუნდებაო? განა მისი ენა აქ გასაგებიაო? რატომ უნდა დაიმუნჯოს ეს ენა, რომელიც უფალმა ჩაუდგა? ბოლოს და ბოლოს, ხელოვნება არასოდეს არ არის შემოზღუდული ეროვნული საზღვრებით, თუ ჰეშმარიტი ხელოვნებაა. ის უნივერსალურია... ამის დაჯერება არ გვსურს, ამავე დროს გვწყინს, რომ ჩვენს კულტურას ნაკლებად იცნობენ მსოფლიოში. „გაქცეულთა“ დაბრუნებამ უნდა მოიტანოს, მე ეს მჯერა, დიდი სიახლე, მან უნდა გაანიავოს ქვეყანა, დაამყაროს ახალი ნოოსფერო.

— ის მდგომარეობა, რაც დღესდღეობით ასე თრგუნავს ქართველ ერს — მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმები, მატერიალური სირთულენი და სულიერ უასეულობათა დაცემა ხომ არ იწვევს თქვენში სასოწარკვეთას (თუ ჭეშვეთათ ასეთი რამ საერთოდ). რაში ხედავთ გამოსავალს?

— დაგრთგუნავს, როცა გრძნობ, რომ ვერაფერს უპირისპირებ ამ დაცემას, შიშველ ფიზიკურ ძალადობას, მტაცებლობას, უკანონობის თარეშს, ყველაფერს, ჩვენთვის არცთუ უცხოს, რაც ამ ნამდვილად გარდამავალ ხანაში უკიდურესი სიმძაფრით ხდება. მაგრამ ამასთან შედარებით (შედარებაც კი მიჭირს), რაც იყო — მე ვამბობ, რაც იყო ჩემთვის და ჩემი წრის ადამიანებისთვის, დღევანდელი ყოფა, მიუხედავად უკიდურესი სიდუხჭირისა, სამოთხედ მეჩვენება. და მაინც გამოსავალი: ინდივიდისთვის ყოველდღიურობაზე მაღლა დგომა. პიროვნებას, შემოქმედს, ეს ძალუძს — ის ყოველთვის თავისუფალია. მთლიანად ხალხისთვის — კანონის დიქტატურა და სწორი, თუნდაც რისკიანი, ეკონომიურ-სოციალური რეფორმები. საამწუხაროდ, სწორი აღმოჩნდა თეზისი: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“.

— აფხაზეთის ტრაგედია ყველაზე მტკივნეულია ამ ეტაპზე. დიდ ტრაგედიას ხომ სულიერი კათარზისი უნდა მოყვეს? თუ შეიძლება ეს მთელს ერს შეეხოს და თუ შეგინიშნავთ რაიმე ამის მსგავსი საზოგადოების დიდ ნაწილში?

— ჯერჯერობით არაფერი ამის მსგავსი არ ჩანს. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს კიდევ უარესი, რომ შეძრას საზოგადოება, უფრო ძლიერად, ვიდრე აფხაზეთის მარცხი. მარცხი თავისთავად არაფერს ნიშნავს. იქნებ უკეთესიც იყოს. ერთი ბრძენი ამბობს, რომ მარცხი, თუნდაც ათი მარცხი, გამარჯვებით დაგვირგვინდება იმ პირობით, თუ მტკიცედ დადგა სული. წარმატებას კი, თუნდაც ათი იყოს, შეუძლია მარცხამდე მიიყვანოს ხალხი.

—თუ ხედავთ სადმე ამ ბოროტების სათავეს? მე ვგულისხმობ თვითონ ქართველების შიერ დადებულ სათავეს. რომ არ ყოფილიყო თბილისის დეკემბერ-იანვრის ძმათა სისხლისღვრა, იქნებ მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო? იმ დროს თქვენ გაანცხადეთ, რომ გამართლებული იყო აჭანუებულთა ეს ნაბიჯი (მე ზუსტად თქვენი სიტყვა აღარ მახსოვს, მაგრამ ოპოზიციას ემხრობოდით სატელევიზიო გამოსვლებში). რას ფიქრობთ დღეს?

— აქ ბოროტებაზე, როგორც რაღაც პრინციპზე, საწყისზე, რომელსაც ვიღაცამ დაუდო სათავე, ძნელია ლაპარაკი. აქ არის ბანალური ქაოსი, რომელიც ალბათ ყოველ რადიკალურ სოციალურ ცვლილებას ახლავს. ვერც ერთ პიროვნებას ამას ვერ დავაბრალებთ. ეს სტიქიაა და ამან უნდა გადაიაროს. ყველაფერი რაციონალურად არ მიმდინარეობს, ბევრი რამ არ ექვემდებარება მართვას. ახლა მოდაშია ყველაფრის ახსნა იმით, რომ რაღაც წინასწარ (ლამის ოქტომბრის გადატრიალებიდან) ჩაწყობილია ჩვენს გასანადგურებლად, რომ ვიღაც სადღაც ეგემა დევს, რომლის მიხედვითაც წარიმართება ისტორიული პროცესი ჩვენ საზიანოდ. ჩვენ რას ვაკეთებთ? არაფერს, რომ ეს ჩანაფიქრი, თუ ვიცით, რომ ჩანაფიქრი ნამდვილად არსებობს, ჩავფუშოთ. მტრის ხრიკების ჩასაფუშად ხშირად რაიმეს კეთებაც არ არის აუცილებელი. პირიქით, სოკრატეს დაიმონის არ იყოს, ზოგიერთი რამის კეთებისგან უნდა შეეიკავოთ თავი.

ის ხელისუფლება, დეკემბერ-იანვარში რომ დაემხო, რომ გახანგრძლივებულიყო (თუ კი ამის წარმოდგენა შეიძლება), საბოლოოდ გაიხრწნებოდა ქვეყანა. მყარდებოდა ოხლოკრატიული რეჟიმი. ხელისუფლება ვეღარ ერეოდა ბრბოს და იძულებული ხდებოდა გუნდრუკი ეკმია მისთვის. ბრბო ერის ბირთვად გამოცხადდა. ასე იყო. საბოლოოდ მას სამარცხვინოდ დაამხობდა მის მიერვე აღმართული კარვის ქალაქი. მე მაშინ სატელევიზიო გამოსვლაში რომაული ანდაზის ფრაგმენტი მოვიხმე: "რასაც წამალი ვერ კურნავს, რკინა კურნავს", წამალში მოლაპარაკებას, შეთანხმებას, დათმობას ვგულისხმობდი. რკინა შემოვიდა ძალაში. ცნობილი ხერხია, დიდ ხანძარს, რომ არ გავრცელდეს, მცირე ხანძრით ულობავენ გზას. ეს რკინა იყო მცირე ხანძარი. უამისოდ უარესი მოხდებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა ეს კვამლი რომელი ხანძრიდან მოდის, ძნელი გასარჩევია.

— თქვენ ცნობილი პიროვნება ბრძანდებით მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. ამას პოლიტიკური მოღვაწეობაც დაერთო. თქვენი თვითშეფასება ამ საკითხში.

— ჩვენმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა, ვგულისხმობ არჩევნებში მონაწილეობას, კარახი განიცადა. ამას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ვმადლობ ღმერთს, რომ ასე მოხდა. მე ვმუშაობდი უფლებათა დაცვის კომიტეტში. მებარა ეს საქმე. მაგრამ მე დავინახე, რომ ჩვენი საზოგადოების არც ერთ ფენაში (ცალკეულ პიროვნებებზე არ ელაპარაკობ), არც ხელისუფლებაში არ არის სამართლებრივი შეგნება — გაბატონებულია პარტიულ-კუთხურ-კლანური აზროვნება. ყველა იბრძვის თავისი სუბიექტური უფლებისთვის, მაგრამ ობიექტური პრინციპის დანახვა-აღიარება არავის სურს. ამან გამოიწვია ბევრი ჩვენი მარცხი შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე. ადამიანის უფლებათა ტოტალური გაცნობიერება ჩვენში ალბათ არც ისე ახლო მომავლის საქმეა. უფლებათა დაცვის დასავლური ყაიდის სამსახური აქ ვერაფერს გახდება. კანონისადმი პატივისცემას და რიდს ჩვენ შორის მხოლოდ კანონის დიქტატურა თუ დანერგავს, რომ მისი დაცვა ადამიანების შინაგანი მოთხოვნილება გახდეს. მაგრამ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება ამას არ აკეთებს, ისევ და ისევ იმის გამო, რომ მასში ცოტაა სამართლებრივად მოაზროვნე მოღვაწე.

— თამბათა ჭიდილი კაცობრიობის პრობლემაა. როგორ დგას ჩვენთვის ეს პრობლემა ამჟამად? თქვენ ხომ უშუალო კავშირი გაქვთ ახალგაზრდობასთან. რას იტყოდით მათ შესახებ?

— ალბათ იყო, ნამდვილად იყო ეპოქები, როცა ეს ჭიდილი წინააღმდეგობასა და დაპირისპირებაში გადადიოდა. ან არსებობენ ადამიანები, ადამიანთა ერთი გავრცელებული ტიპი, ვისთვისაც ახალი თაობა უცხო მოდგმაა, თუნდა ის მათი საყვარელი შვილებისგან შედგებოდეს. ქვეყანა ყოველთვის ახალგაზრდულია. რაც იქმნება ღირებული — ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტში, ომში განა ახალგაზრდობისგან არ იქმნება? ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობა არ განსაზღვრავს თაობის სახეს ყოველ ასპექტში? რაც არის ახალგაზრდობაში, იგივე გადადის მომწიფებულ ასაკში. განა რადიკალურად იცვლება ადამიანი? ახალგაზრდა თაობის გმობის მიზეზი გაუგებრობაა. ზრდადასრულებულს არ სურს გაუგოს მას, ვინც ჯერ კიდევ იზრდება. მას არ მოსწონს მაჭარი, მაგრამ მაჭარი არსებობს და უნდა შეგვეძლოს მასში მომავალი ღვინის გამოცნობა.

— რამდენად გამართლებულია ჩვენში ამდენი არაქრისტიანული რელიგიური ცენტრების არსებობა?

— გაუმართლებელია? მათი არსებობა ფაქტია. ჩვენ გვავიწყდება, რომ ადამიანი თავისუფალი ნების მატარებელი არსებაა, ხოლო რწმენა უაღრესად ინტიმური რეალობაა და ვერ იტანს კარნახს და ძალადობას. შიშველ პროპაგანდას. ყოველი თავდასხმა აძლიერებს, არ ასუსტებს მას, თუნდაც ყალბს, და განამტკიცებს მისსავე სიყალბეში. ქართველი ხალხის, როგორც ახალი ერის, ეთნოგენეზისი ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში, მისი ათვისების პროცესში მოხდა; მან გამოკვეთა მისი სახე, თუმცა ბოლომდე არაფერია დასრულებული. ეთნოგენეზი გრძელდება, შესაძლოა, იქმნება კვლავ ახალი „ფორმაციის“ ერი არსებული ეთნიური „ნაშთების“ ახალ საფეხურზე ინტეგრაციით, — და მოახერხებენ ეს, როგორც თქვენ ამბობთ, „არაქრისტიანული ცენტრები“ თავისი წვლილის შეტანას ამ პროცესში? ვეჭვობ, ეს მოხდეს, იმდენად საფუძვლიანია ჩვენი ქრისტიანული და კულტურული ცნობიერების წყაროები.

— როგორ გგონია, შეუძლია თუ არა ადამიანს იყოს ზედროული, თუ შინაგანად დაძლევს ასაკის ზღვრებს (თუ წლებს მაინც თავისი მიაქვთ. რამდენად შეგინიშნავთ ასეთი რამ საკუთარი თავისთვის)?

— ადამიანი ზედროული არსებაა. ამას გრძნობს ადამიანი, თუნდაც წამიერ გაელვებაში. მაგრამ ამ გაელვებას ჭეშმარიტება მოაქვს სწორედ მარადისობიდან. მაგრამ ეს გრძნობა ადამიანმა აქტუალური უნდა გახადოს თავის ცხოვრებაში. ეს მისი ვალია თუნდაც თავისი სულის წინაშე, რომელიც ჩაბერვისთანავე უკვდავების ზიარია. სანამ ადამიანს შეუძლია აღიქვას მშვენიერება, სიახლე, სანამ მას ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილი არ გაქრობია, მაშინ წლები „თავისას“, თქვენ გულისხმობთ დამანგრეველს, ვერაფერს წაიღებს.

— რა არის მთავარი ადამიანისათვის ამ ქვეყანაზე? უკეთ: სიცოცხლის საიდუმლოს თქვენეული ინტერპრეტაცია.

— ადამიანის ერთი დიდი შეცდომა ის არის, რომ მას არ სურს ბოლომდე აღიაროს, თუ ვის უჭირავს სიცოცხლე ქვეყანაზე, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლე, თუმცა ყველა რელიგია სიცოცხლის საიდუმლოს უხსნის ადამიანს. ან თუ არსებობს სიცოცხლეზე უმაღლესი ფასეულობა, რისთვისაც შეიძლება ადამიანმა დათმოს ის? რაკი „სიცოცხლის“ საიდუმლო“ ახსენეთ თქვენს კითხვაში, ადამიანისთვის ამ ქვეყანაზე მთავარია მოწიწება ამ საიდუმლოს წინაშე. ყველა საიდუმლო აქ არის დამარხული.

ესაუბრა
ნინო ფაცურია

იდეოლოგიისა და სტრატეგიის სათავეებთან

ნოდარ ნათაძე

მესამე გვერდიდან

ტურულ, მეცნიერულ და სხვა სასარგებლო საქმიანობაში და თავის ფასეულობათა დაცვაში, ზნეობრივ ფასეულობათა ჩათვლით, ყველა პირობებსა და გარემოებებში.

III ქართველი ერის ძირითადი ზნეობრივი ფასეულობები

ქართველი ერის ღრმა რწმენით, რომელიც განსახიერებულია მის ფოლკლორსა და ლიტერატურაში, მის ისტორიულ თვითგანცდასა და თვითგაზრებაში, მის ტრადიციულად მიღებულ შეხედულებებში ადამიანის ღირსებისა და უფლება-მოვალეობების შესახებ, ადამიანები თანასწორნი არიან ღვთისა და ერთმანეთის წინაშე. ამავე დროს ქართველი ერის დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ პატიოსნად დამსახურებული უპირატესობის მოპოვება სხვათა უფლებების შეულახავად ინდივიდისა და ერის წმინდა-აწმინდა უფლებაა. თავისი ისტორიიდან და სპეციფიკური გეოგრაფიული მდგომაროებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს აიძულებს, თავისი მიწა-წყალი, თავისუფლება და უსაფრთხოება დაიცვას უფრო დიდი ქვეყნების წრეში, ვიდრე თვითონ არის, ქართველი ერი თავისთავს ამოცანას უსახავს, ისწრაფოდეს ყოველმხრივი ინდივიდუალური და ორგანიზაციული სრულყოფისაკენ და ხარისხობრივი უპირატესობისკენ საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანეს დარგში, რათა თავისი რიცხობრივი სიმცირის კომპენსაცია მოახდინოს.

ქართველი ერის ძირეული სულისკვეთება დამყარებულია ინდივიდუალური ადამიანის აბსოლუტური ღირებულების რწმენაზე, პიროვნული თავისუფლებისა და პიროვნული პასუხისმგებლობის აღიარებაზე. ეს სულისკვეთება თავისი მიმართულებით დემოკრატიულია, აღიარებს რა ადამიანთა, როგორც თავისუფალ და პასუხისმგებელ არსებათა, უუნდამენტურ თანასწორობას, მათს განუსხვისებადსა და შეულახავად პიროვნულ უფლებებს საკუთარი თავის მართვისა და ღირსების დაცვის მხრივ, ინდივიდის პასუხისმგებლობას საზოგადოების მართვაზე და მასში (ამ მართვაში) მონაწილეობის უფლებას.

ქართველმა ერმა იცის თავისი ტრაგიკული ისტორიული გამოცდილებით, რომ ეროვნული უფლება ადამიანის ინდივიდუალურ ადამიანურ უფლებათა ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია. ყველა ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ ერს, რომელსაც იგი ეკუთვნის, არ ემუქრებოდეს გენოციდი, დეპორტაცია, ეროვნული დისკრიმინაცია, დემოგრაფიული შეგვიწროება მის მიწა-წყალზე უცხოთა მისი ნების გარეშე დასახლების გზით და მისი კულტურის დათრგუნვა, დედა-ენის ჩათვლით. ამიტომ ქართველი ერი მოვსრეა იმისა, რომ ყოველ ერს, დიდსა თუ მცირეს, ჰქონდეს თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა და რომ კაცობრიობა ცხოვრობდეს როგორც ამ ერთა საზოგადოება, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დარეგულირებული, რომელთა შორისაც (ამ ნორმებს შორის) იგულისხმება სხვა ქვეყანაში მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობების ეროვნული გადარჩენის, ანუ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების, მაგარანტირებელი ნორმებიც. ამავე დროს ქართველ ერს მიაჩნია, რომ ერს აქვს ისტორიული მეხსიერების უფლება, ანუ იმის არდათმობის და, სხვათა უსამართლო დაზარალების გარეშე, შთამომავლობისთვის გადაცემის უფლება, რაც მისი ისტორიის მონაკოვარია. კონკრეტული დაკ ერებსა და მათს სახელმწიფოებს შორის წყდება მათი კონკრეტული ურთიერთობით, — შშვიდობიანი ან არაშშვიდობიანი გზით, მათი სიბრძნისა და პასუხისმგებლობის ცნობიერების შესაბამისად — მაგრამ ზემოჩამოთვლილი პრინციპების დაურღვეველად.

IV ქართველი ერის შემადგენლობა

ქართველი ერი, ჩვენი ქვეყნის ბუნებასაკით, არაერთგვაროვანია. საქართველოს ყველა კუთხეში და ქართველი ერის განსახლების ყველა მხარეში მას თავ-თავისებური ელფერი, თავ-თავისებური სპეციფიკური მახასიათებლები აქვს. ქართველთა სალიტერატურო ენა სხვადასხვა ადგილას ძალიან განსხვავებულია. ჩვენ, ალბათ იმ ერთადერთი ვართ, ვისაც თავისი რიცხოვნობის პროპორციულად ყველაზე მეტი დიალექტი და სხვა დიდი თუ მცირე ენობრივი ერთეული აქვს. უადრესად მრავალფეროვანი და ურთიერთგანსხვავებულია ჩვენი ხალხური მუსიკაც, სიმღერის ჩათვლით. ეს მრავალფეროვნება ჩვენი ერის სიმდიდრეა, და არა სისუსტე ან გათიშულობის საფუძველი. რატომ? იმიტომ, რომ ერის ერთიანობას ქმნის არა მისი შინაგანი გაუდიფერენცირებლობა, არამედ მისი ერთობლივი მიმართება გეოპოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარესამყაროსთან — კაცობრიობასთან, ქართველი ერი არა მარტო სისხლითა და ისტორიით, არამედ აგრეთვე ერთობლივი ამოცანებით შეკავშირებულ ადამიანთა ერთობაა. კაცობრიობის წინაშე და კაცობრიობის მთლიან სისტემაში თავისი ღირსეული ადგილის პოვნის ამოცანის ჩათვლით.

ქართველი ერის განაცხადი (ამბიცია) კაცობრიობის წინაშე დიდია. მას უნდა, რომ ჰქონდეს დამოუკიდებელი, ნებისმიერი სხვა ქვეყნის წინაშე თავის დაცვის უნარით აღჭურვილი სახელმწიფო, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი (თავისი დონით) ლიტერატურა (რომელიც აქვს). ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სალიტერატურო ენა, (რომელიც აგრეთვე აქვს), საკუთარ ფეხზე მდგარი ძლიერი ეროვნული ეკონომიკა, მაღალგანვითარებული და მსოფლიოსთვის მიმზიდველი საკუთარი კულტურა ამ სიტყვის ფართო აზრით, საკუთარი შემოქმედებით აშენებული სამართლიანი და სხეითათვის მისაბაძი დემოკრატიული და ჰუმანური საზოგადოება და, რაც სხვა არც ერთ პარამეტრზე ნაკლები არაა თავისი მნიშვნელობით — ადამიანის ღირსებისა და ადამიანურ ურთიერთობათა ნორმების საკუთარი დაუწერელი კოდექსი, რომელიც ამ ბოლო წლებამდე ჯერ კიდევ ჰქონდა და რომლის აღდგენის იმედი აქვს. ამ უძნელეს ამოცანებს საქართველოს ვერც ერთი კუთხე, ქართველი ერის ვერც ერთი ნაწილი ვერ გაუძღება ცალკე. მაშასადამე, დღევანდელი ქართველი ერის ვერც ერთი ნაწილი, ცალკე აღებული, ვერ იქნება კაცობრიობის პარტნერი, ვერ იქნება ერი. ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, კაცობრიობის სრულფასოვანი პარტნერი ვიქნებით მხოლოდ ყველანი ერთად, მხოლოდ ქართველობა მის მთლიანობაში,

დღეს ქართველი ერის ერთი ნაწილი ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში, რომლის მთელ ტერიტორიაზეც იგი ავტოხთონურია — ადგილობრივი ანუ მკვიდრი ერია. ერთი ნაწილი ცხოვრობს სხვა ქვეყნებში, ისევ როგორც ავტოხთონური მოსახლეობა — ჩვენ მეგობარ თურქეთში, აზერბაიჯანში და ძალიან ცოტა რუსეთში. ნაწილი ცხოვრობს კომპაქტურად სამხახეკარი საუკუნის მანძილზე ირანში, ფერეიდანში. ნაწილი არაკომპაქტურად ან მეტ-ნაკლებ კომპაქტურად ცხოვრობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ჩვენი უშუალო მეზობლების ჩათვლით. ჩვენ უნდა დავიცვათ და შთამომავლობას შევუნახოთ ჩვენი თავის დაუზოგავად, საქართველოს რესპუბლიკა, მისი საზღვრები და მისი დამოუკიდებლობა. ასევე თავის დაუზოგავად უნდა დავიცვათ და შთამომავლობას შევუნარჩუნოთ, თავის დაუზოგავად და საშარადისოდ, საქართველოს რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ეროვნული სახე, მისი ეროვნული ეინაობა, ენა და კულტურა, ყოფითი კულტურის ჩათვლით.

V ქართველი ერის ადგილი მსოფლიოში დღეს და განჭვრეტად მომავალში

ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეებში საქართველო ჩრდილოეთის ქვეყნად ითვლებოდა, რადგან იმ დროს მსოფლიო ცივილიზაციის ძირითადი ცენტრები ჩვენი ქვეყნიდან სამხრეთისკენ იყო განლაგებული. შემდეგ საქართველო სამხრეთი ქვეყანა გახდა, რადგან ცივილიზაციის ცენტრმა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა. დღეს და უახლოეს საუკუნეებში, ალბათ, მსოფლიო მრავალ ცენტრიანი არის და იქნება და საქართველოსაც, უნდა თუ არ უნდა, ამ ცენტრებს შორის საშუალო ადგილის დაკავება მოუწევს. მთავარი ღერძი, რომლის გასწვრივაც, საქართველოს ურთიერთობები იქნება აგებული, ალბათ, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობა იქნება. საქართველო — ეს ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანა (თავისი დიდი ფეოდალური ისტორიით) — იქნება დასავლეთის ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელიც ყველაზე კარგად იქნება შეთვისებული აღმოსავლეთთან, და აღმოსავლეთში მდებარე, ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელსაც ყველაზე ღრმა ფესვები ექნება დასავლეთში და დასავლურ კულტურა-ცივილიზაციაში, საქართველომ ჭეშმარიტი შემოქმედებითი მიდგომით უნდა დაიმკვიდროს, ამიერკავკასიასთან ერთად, თავისი ცენტრალური ადგილი შუა ევროპიდან შუა აზიისკენ მავალ დიდ გზაზე და მტკიცედ დაიცვას იგი. ჩვენი კონტაქტი ჩრდილოეთისკენ ვერ იქნება ჩვენთვის ფაქტობრივად ერთადერთი, როგორიც იგი ხელოვნური საბჭოთა კავშირისდროინდელი ურთიერთობების დროს იყო, მაგრამ იგი, შესაძლოა, ადრინდელზე უფრო ინტენსიურიც იყოს თავისუფლების პირობებში, ვინაიდან თურქეთის და მის იქით მდებარე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სახელმეთო კავშირებს რუსეთთან, ჩრდილო კავკასიასთან და უკრაინასთან დიდი პერსპექტივა აქვს. ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელი და მოკავშირე, დღევანდელი ტრაგიკული ვითარებისაგან განსხვავებით, ალბათ იქნებიან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომელთაც ჩვენთან უამრავი საერთო აქვთ.

თუ საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკურმა აზრმა და წმრომელმა ხელმა ვერ იკარგა, იგი ვერ იქნება შუაევროპული ინდუსტრიის ფორპოსტი შუა აზიისკენ.. თუ საქართველოს ჰუმანიტარულმა და პოლიტიკურმა აზრმა და საქმემ სხვებისას არ აჯობა, ჩრდილო კავკასიის ხალხები არ გაჰყვებიან თავის ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც მათ ჩვენთან საერთო აქვთ, ისინი ან რუსეთის პროვინციათა მარგინალურ ცივილიზაციაში შთაინთქმებიან, ან ისლამური სამყაროს რიგითი, არაფრით არ გამორჩეული წევრები იქნებიან მხოლოდ. ორსავე განზომილებაში, ცხადია, საქართველოს და ქართველ ერს დიდი ძალისხმევა მოეთხოვება, რადგან წარმატება-წარუმატებლობის დიაპაზონი ძალიან დიდია.

საქართველოს, როგორც ეროვნული განსაცდელის დიდი ისტორიის მქონესა და კავკასიის მრავალფეროვანი რეგიონის ურთიერთობებში დიდი გამოცდილების მქონე ქვეყანას, შეუძლია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში, გაეროს ჩათვლით, ერთ-ერთი ყველაზე ბრძნული და წონადი სიტყვის მთქმელი იყოს ეროვნულ ურთიერთობებზე მთელ მსოფლიოში, იყოს მცირე ერთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მედროშე.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

10 ოქტომბერი ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. საქართველოს ფსიქიატრიული ასოციაციის ინიციატივით რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს სხდომათა დარბაზში ამ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია. სხდომა გახსნა ფსიქიატრიული ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა ს.სურგულაძემ. მან მოკლედ ისაუბრა იმ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც იმყოფება ფსიქიატრიული დარგი საქართველოში და უპირველეს ყოვლისა ყველაზე დაუცველი და სახელმწიფოსგან ბედის ანაბრად მიტოვებული სულით ავადმყოფები. ორატორმა მადლობა გადაუხადა იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთა წყალობითაც მოხერხდა ავადმყოფებისათვის ლუკმა-პურის შოვნა და მინიმალური დახმარების აღმოჩენა.

სხდომაზე პირველმა ითხოვა სიტყვა მოქალაქეთა კავშირის სახელით ბატონმა რეზო ამაშუკელმა, რომელმაც თავისი გამოსვლა უცნაური შესავლით დაიწყო. „მე ვარ რეზო ამაშუკელი და არა რევაზ მიშველაძე, რევაზ მიშველაძე რომ ვიყო, აქვე თავს მოვიკლავდიო“. საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთმა დამსწრემ ვერ გაიგო გამომსვლელის გვარი და იკითხა: რევაზ მიშველაძე გამოდისო? მას ზემოთ აღნიშნული ფრაზით უპასუხა პოეტმა რეზო ამაშუკელმა. შემდეგ კატეგორიული ტონით მოითხოვა ყველა იმ ფსიქიკურად დაავადებულთა სიის გამოქვეყნება, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი დღევანდელი ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ ორაზროვანი მოთხოვნის პასუხად ინტელიგენტმა ექიმებმა მოკრძალებით განუმარტეს გამომსვლელს, რომ ეს პიროვნული და პროფესიული საიდუმლოება გახლავთ და მისი გაცემა კანონით იკრძალება. აღელვებულმა ორატორმა ბრძანა, რომ ამ კანონის შეცვლას ახალი კანონის მიღება სჭირდება, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც კანონებს ღებულობენ, საკუთარი თავის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ხომ არ მიიღებენო, რითაც ნათელი გახადა, თუ სად უნდა ეძებნათ ფსიქიკურად დაავადებული ბორიტმოქმედები. გამომსვლელმა თქვა, რომ ვერ დათვალიერებს სულით ავადმყოფთა პალატებს, რადგან სუსტი გული აქვს და მათი მძიმე მდგომარეობის ცქერას ვერ გაუძლებს.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ერთ-ერთმა გამომსვლელმა ქალბატონმა აუცილებლად ჩათვალა ხელისუფლებისა და მოქალაქეთა კავშირის ყველა წარმომადგენლის, მიუხედავად იმისა, მათ სუსტი გული აქვთ თუ არა, ერთი-ორი საათით საავადმყოფოს პალატებში ჩამწყვდევა, რათა მათ გაიგონონ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ავადმყოფები.

ბატონმა რეზო ამაშუკელმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: მოქალაქეთა კავშირი იზრუნებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად, გაანადგურებს მაფიას ფოთისა და თბილისის საბაჟოში და ჰუმანიტარული დახმარების განაწილების სისტემაში. შემდეგ ბოდიში მოიხადა, რომ სასწრაფო საქმეზე არის წასასვლელი, ტოვებს სხდომას, არ დაივიწყებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და მოკლე ხანში დაუბრუნდება მას. ამ უკანასკნელმა სიტყვებმა დარბაზში ერთსულოვანი გამოცოცხლება გამოიწვია.

სამწუხაროდ, ამ სხდომას არც მთავრობიდან და არც პარლამენტიდან არავინ დასწრებია, თუ არ ჩავთვლით სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდის თავმჯდომარეს ბატონ ოთარ ხუფენიას და ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსს ბატონ ირაკლი მეგრელაძეს, რომლებიც სიტყვით გამოვიდნენ და რეალური დახმარება აღუთქვეს ფსიქიატრიულ სფეროს. ბატონმა სიმონ სურგულაძემ მადლობით მოიხსენია აღნიშნული ფონდის თავმჯდომარე, რომლის ხელშეწყობითაც მოხდა ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ მოსახლეობისათვის გასაგებად დაწერილი პოპულარული ბროშურების დაბეჭდვა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციისათვის გადაცემა მისი შემდგომი გავრცელების მიზნით.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ექიმები და მეცნიერები: გ.ნანეიშვილი, ა.მამარდაშვილი, ნ.ნინუა, დ. დუდუჩავა, შ. გამყრელიძე, შ. ციციაშვილი.

შემდეგ მოეწყო ფსიქიკურად დაავადებულთა ნახატების გამოფენა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

შეხვედრაზე იგრძნობოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებზე ზრუნვა, რაც ქმნიდა თბილ ატმოსფეროს.

გია თვალავაძე

* * *

ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი მოკრძალებული დახმარება გაიღო 70 000 რუსული მანეთის სახით, აგრეთვე 38 ყუთი ბავშვის საკვები „მილუპა“ გადასცა საავადმყოფოს ფსიქიკურად დაავადებულთათვის.

ერთი სიყალბის ტექნოლოგია

მეორე გვერდიდან


საქართველოს პარლამენტი
თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია
ПАРЛАМЕНТ ГРУЗИИ
КОМИССИЯ ПО ОБОРОНЕ И НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ
PARLIAMENT OF GEORGIA
COMMISSION ON DEFENCE AND NATIONAL SECURITY

დოკუმენტი №5

განგვიმარტეს, რომ ტექსტში ჩვენ არ მივუთითებდით კრედიტით სარგებლობის პროცენტსო. ამასთან მინისტრთა კაბინეტში არ ინახება ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებული სხდომის ოქმი.

აპარატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ დადგენილებას უნდა ერტყას №3, საოქმო სექტორის მრგვალი ბეჭედი. როგორც ხედავთ, ზემოთჩამოთვლილი პროცედურის არ გავლა ამ შუადგომლობას და შესაბამისად მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას, შეეძლო მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირის მიერ ხელით დატარების შემთხვევაში.

აი, ძვირფასო მკითხველო, ამ სიყალბის ტექნოლოგია — 1) ბატონ ნ.ნათაძის შუადგომლობა 1993 წლის 6 სექტემბერს 2) უარი მასზე რ.გოცირიძის მიერ 1993 წლის 9 სექტემბერს 3)ბატონი ნ.ნათაძის 6 სექტემბრის შუამდგომლობის გაქსეროქსება და რეზოლუციების დადება 4) ამავე შუამდგომლობის (გაქსეროქსებულის) გაქსეროქსება და ეროვნულ ბარკში გადაგზავნა, რომელსაც კიდევ ერთი თანამდებობის პირის რეზოლუცია ადევს. 5) სიყალბეთა სერია მინისტრთა კაბინეტის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.


საქართველოს პარლამენტი
თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია
ПАРЛАМЕНТ ГРУЗИИ
КОМИССИЯ ПО ОБОРОНЕ И НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ
PARLIAMENT OF GEORGIA
COMMISSION ON DEFENCE AND NATIONAL SECURITY

დოკუმენტი №6

დაუჯერებელია, ალბათ, არა? მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი სიყალბეები ჩვენში ასეთ მაღალ ეშელონებში ხდება. შემდგომ ამ საკითხს ეხებიან პრესის წარმომადგენლები ისე, რომ ამ დოკუმენტებს არ ამოწმებენ, არამედ მხოლოდ უცვლელად ბეჭდავენ. მათ რიცხვს ემატებიან ოფიციალური პირნი.


დოკუმენტი №7

ყოველივე ამაზე კი რეაგირებას არ ახდენენ სამართალდამცავი ორგანოები (ამ საკითხთან დაკავშირებით საქმე აღძრულია). ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია და სისხლის სამართლის საპროცესო ნომრები (გამოძიების მასალების გახმაურება). ყოველივე ამან მაიძულა მკითხველთა სამსჯავროზე გამომეტანა მთელი ამ სიყალბის მსვლელობა-ტექნოლოგია.

ჩემი პუბლიკაციის და მასში მოყვანილი დოკუმენტების განსჯა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

ლევან ალაფიშვილი

იურისტი
12.10.94

ჟირინოვსკი და ელცინი ერთ ქვაბში ხარშავენ არარუსებს

ᲗᲣ რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პოლიტიკოსის ჟირინოვსკისა და მისი პარტიის ურთიერთობას შევაფასებთ ხელისუფლებასთან, დავრწმუნდებით, რომ ისინი არც ისეთი ოპოზიციონერები არიან, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. და მეტიც, მათი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, რომ რუსეთისათვის ყოველ მნიშვნელოვან მომენტში ჟირინოვსკიც და მისი პარტიაც რეგულარულად უჭერენ მხარს ხელისუფლებას. და თუ ეს ოპოზიციაა (იგულისხმება ჟირინოვსკი მის პარტიასთან ერთად), მაშინ ასეთ ოპოზიციას ინატრებს ყველა ქვეყნის ყველა ხელისუფლება, აღნიშნავს სომხური გაზეთი „გოლოს არმენია“ ა.წ. 6 აგვისტოს ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა სათაურით — „საიდუმლო შეთანხმება გამორიცხული არაა“.

საოცარი დამთხვევაა ის, რომ ჟირინოვსკის წინასაარჩევნო პროგრამა ნელა, მაგრამ მაინც ხორციელდება. მისი მოწოდებების შედეგად გაიგზავნა რუსეთის ჯარები ბოსნიაში, რათა დაეცვათ სერბები. მოსკოვი უფრო თავდაჯერებული გახდა, ხოლო უკანასკნელი ნახტომი სამხრეთისკენ, სულ უფრო იძენს რეალურ კონტურებს: რუსეთის ჯარები ბრუნდებიან ამიერკავკასიაში, განახლდა მოლაპარაკებები ინდოეთში, სირიაში იარაღის გაგზავნის შესახებ და როგორც ეტყობა, გარკვეულად „დათბა“ „დემონური“ ერაყის მიმართ ურთიერთობებშიც. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ რუსეთი, მისი პოზიციაც და ოპოზიციც ხელიხელჩაკიდებულნი აკეთებენ ერთ საქმეს, რომელსაც რუსული იმპერიის აღდგენა და მისი გავლენის სფეროების გაფართოება ჰქვია. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს თვით ჟირინოვსკის ინტერვიუ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „რესპუბლიკა არმენიაში“ (6.08.94). ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან:

კორესპონდენტი: ბევრს და მათ შორის მეც მაშინებს თქვენი ფართო გეოპოლიტიკური გეგმები. ყველა თქვენი გეგმა სამხრეთისაკენ მარშისა, ეს ომია...

ჟირინოვსკი: ეს არაა ომი

კორესპონდენტი: მე წავიკითხე თქვენი წიგნი. იქ თქვენ წერთ დაპყრობებზე. თქვენ ამბობთ, რომ მთავარი საშიშროება ისლამია. თქვენ ფიქრობთ, რომ იმ ქვეყნების ხალხი, რომელთა სამხედრო ძალის მეშვეობით აპირებთ რუსეთის გავლენის სფეროებში მოქცევას, ხელგაშლილნი დაგხვდებიან? განსაკუთრებით ისლამური ქვეყნები.

ჟირინოვსკი: მაშინ ისინი ჩვენ გაგვანადგურებენ. თქვენ არ გინდათ გაიხედოთ 15-20 წლით წინ. როცა გერმანიაში ფაშიზმი დამყარდა, რით დამთავრდა? მეორე მსოფლიო ომით. 33-ში ფაშიზმი იყო სუსტი, მაგრამ აგრესიული. 39-ში კი დაიწყო ომი. აქაც ასეა, უნდა დროზე მივიღოთ ზომები. თუ ჩვენ ქვევით არ დავეშვებით, მაშინ ისინი ავლენ ზევით. მესამე ვარიანტი არაა.

კორ. ნუთუ თქვენ გჯერათ თქვენი გეგმების მშვიდობიანი განხორციელებისა?

ჟირინოვსკი: რა თქმა უნდა, ყველაფერი მშვიდობიანად იქნება. ვგულისხმობ, რომ ომი იქნება მათ შორის, როგორც დღეს. ტაჯიკეთი — ავღანეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი, ქურთები-თურქები, სომხები-თურქები, ქართველები-აფხაზები. აი, ისინი იომებენ ერთმანეთში.

დღეს ჩვენ ვყიდით იარაღს თურქებზე. რატომ თურქებზე? მოდით, ქურთებს მივყიდოთ; ჩვენ ხომ გვინდა, რომ 30 მილიონიანმა ქურთებმა მოიპოვონ თვითგამორკვევის უფლება. ქურთი ხალხი ხომ გმინავს თურქეთის უღელქვეშ. რატომ უნდა გმინავდეს? თუ ჩვენ ქართველებს მხარს ვუჭერთ, ისინი 4 მილიონი არიან, და მხარს ვუჭერთ მათს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ რატომ არ ვუჭერთ მხარს 30 მილიონიან ქურთებს, რომელთაც უნდათ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა? ისინი ბევრნი არიან, აჯანყდებიან და ანკარის, თეირანის რეჟიმებს მოსპობენ. ამასთან, 10 მილიონი ქურთი ნაღდად დაიღუპება და 10 მილიონი თურქიც, მაგრამ ჩვენ კი არა, ჩვენ რუსები არ დავიღუპებით.

მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ჩვენი ჯარისკაცები იღუპებოდნენ. გასასვლელი სამხრეთისაკენ — იგულისხმება იქაური ცივილიზაციის დალუპვით

თუ სწორად წარვმართავთ საგარეო პოლიტიკას, დიპლომატურად, მაშინ შეიძლება წარმატებებს მივაღწიოთ მშვიდობიანად.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ქეთი დავლიანიძე, გელა ებანოიძე, ნინო ზამთარაძე, გია თვალავაძე, ირმა ლომაური, ნინო ფაცურია, სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 400 000 კუპონი